

გაზიძე

Region

№33
2019 ივნისი



მუხლს მოვხრი
იქ, სადაც
სულთა სა-
ვანეა,
სადაც თვით
სუნთქვაშიც
ი-
სამანია!

ანზორ სერუჯიანი

სარჩევი

გრიგოლ ხანძთელი	2-4	ქვევრის ღვინის უძველესი	
„შურსა და ცილოზე ამაღლებული..“	5-6	ტრადიციის აღორძინება	22-24
სილამაზისა და სიყვარულის პოეტი	7-10	გრიგოლ გურიელი და წერა-ხითხვის გამავრცელებელი საზოგადოება	25-27
მტირალას ეროვნული პარკი	11-13	ღევნილი	28-29
დავით სარაჯიშვილის დაბადებიდან 155 წლისთავი	14-15	გადანახული ჩანაწერები	29
ანასეული	16-19	ნაჯადული	30-31
შაღვა ძნელაძის ნახატები	20-21	ანეკდოტები	32



მთავარი რედაქტორი და გამომცემელი
ლელა სურმავა

ტელ: 558 25 65 50

ელფოსტა: Guriaregion14@mail.ru;
lelasurmava@mail.ru

კვირვასო მკითხველავო!

მოგვანოდეთ პუბლიკაციები, მოთხრობები,
ჩანახატები, ლექსები, ისტორიები, იდეები, გაგვიზიარეთ
თქვენი პრობლემები და მოგვიყვით საინტერესო ამბები.
გაითვალისწინეთ, ყურნალში განთავსება ფასიანია.

ჟურნალი თავისუფალი ჰრასის ჰრინცივით ხელმძვანელოვს.

რედაქციაში შემოსული მასალის სიუხტაჟა ჰასუხს აზავს ავტორი,
ხოლო სარეაქტამო ტაქსტაჟა ჰასუხისმგებლობა რეაქტამის შამაჟეთს აანისრავა.

ბრიბოდ ხანძთადი

გრიგოლ ხანძთელი ეკუთვნოდა ქართლის უმაღლეს ფეოდალურ არისტოკრატას. იგი იყო ნერსე II ქართლის ერისმთავრის ცოლის ძმისწული. როგორც მამიდის შვილობილი, ნერსეს ოჯახში აღიზარდა. გრიგოლი ბავშვობიდან გამოირჩეოდა სწავლის სიყვარულით, ასევე სულიერი თვისებებით – თავმდაბლობით, სიდინჯით, მოკრძალებით. იგი განსხვავდებოდა თანატოლებისგან.

გრიგოლ ხანძთელმა მიიღო საუკეთესო განათლება. დაეუფლა სხვადასხვა ენას, განსწავლული იყო საერო და სასულიერო ცოდნით.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა მღვდლად აკურთხეს. ახლობლებმა მისი ეპისკოპოსად კურთხევაც მოინდომეს. გრიგოლმა თავი აარიდა დიდ პატივს, ფარულად დატოვა ქართლი და საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, კლარჯეთში წავიდა. მას თან ახლდა სამი თანამოაზრე, – თეოდორე, ქრისტეფორე და დეიდაშვილი საბა (შემდეგ იშხნის ეპისკოპოსი). კლარჯეთში ისინი ოპიზის მონასტრის ძმებს შეუერთდნენ.

ამ ეპოქაში ბერ-მონაზვნური იდეალებისაკენ სწრაფვა, საზოგადოების ჩამოყალიბებულ, კულტურულ იერს აჩვენებდა. ამიტომ, ინტელექტუალურ ცხოვრებას მონადინებული მრავალი ადამიანი, განსაკუთრებით წარჩინებული წრის წარმომადგენლები, ტოვებდნენ სამოქალაქო ცხოვრებას და სამონასტრო სავანეებში, მათ შორის საქართველოს ფარგლებს გარეთ ეძებდნენ თავშესაფარს.

ამ დროს ქართლში არაბები ბატონობდნენ. VIII საუკუნიდან არაბთა ბატონობა განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდა. ქართლში შექმნილი პოლიტიკური გარემო, ქრისტიანული კერების განვითარებისთვის, არახელსაყრელი იყო. ამიტომ, გრიგოლმა და თანამოღვაწეებმა კლარჯეთი აირჩიეს, სადაც არაბთა ბატონობა ვერ აღწევდა, რადგან ძლიერი იყო ბიზანტიის გავლენა.

ორი წელი დაჰყვეს ოპიზაში. რომელიც იმ დროისთვის ერთადერთი მოქმედი მონასტერი იყო. ორი წლის შემდეგ, გრიგოლმა ხანძთაში დაიწყო მონასტრის შენება. გრიგოლმა და სულიერმა ძმებმა ადგილობრივი დიდებულის, გაბრიელ დაფანჩულის შემწეობით და ოპიზელი მამების დახმარებით, ხანძთაში ააგეს ეკლესია და სენაკები.

ხანძთის ეკლესიის მშენებლობის დროს, გამოიკვეთა ბერ-მონაზონთა და საერო ფეოდალთა თანამშრომლობა, რომელსაც გრიგოლის ცხოვრებაში ხორციელი და სულიერი კეთილის შეზავება ეწოდა.

ხანძთის ეკლესიის აგების შემდეგ, კლარჯეთში ააშე-

ნა შატბერდის, გუნათლის და დედათა მონასტრები. დასავლეთ საქართველოში უბის მონასტერი. მონასტრების მშენებლობაში, მატერიალურად ეხმარებოდნენ აშოტ I კურაპალატი და მისი ძეები, დასავლეთ საქართველოში მეფე დემეტრე.

თანდათან მრავლდებოდა გრიგოლის მიერ აგებულ მონასტერში ცხოვრების მსურველთა რიცხვი. მაგრამ იგი ყველას არ იღებდა. მასთან მისულებს სათანადოდ გამოცდიდა და მხოლოდ რჩეულებს ტოვებდა. მონასტრის საკრებულოს წევრებისთვის მკაცრი წესები ჰქონდა დადგენილი. მონაფეები გამოირჩეოდნენ მაღალი სულიერებით.

გრიგოლ ხანძთელის მონაფეები იყვნენ ანყურის ეპისკოპოსი ეფრემი და ქართლის კათალიკოსი არსენი. სამცხელი დიდებულის, მირიანის ვაჟი. სულიერი მამის მიზაძვით, გრიგოლის მონაფეებიც აგებდნენ მონასტრებს. მათი დაარსებული და აღდგენილია იშხნის კათედრალი, ბარეთელთას, წყაროსთავის, ნეძვის, კვირიკეთის და სხვა მონასტრები.

სამონასტრო კერების გამრავლებას, თან სდევდა ქრისტიანული ხუროთმოძღვრების განვითარება, მთარგმნელობითი საქმიანობა, ხელნაწერთა შექმნა და გამრავლება, სამონასტრო სკოლების ჩამოყალიბება, გარე სამყაროსთან კულტურული კონტაქტები. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ქრისტიანული კულტურის დაწინაურებულ მხარედ იქცა. გრიგოლის თაოსნობით დაარსებულ მონასტრებში, შეიქმნა მნიშვნელოვანი ტრადიციები, რომელიც ტაო-კლარჯეთის

სალიტერატურო სკოლის სახელითაა ცნობილი, პირადი ურთიერთობების შედეგად, IX საუკუნის 30-იან წლებში, გრიგოლი კლარჯეთის უდაბნოს მონასტრების არქიმანდრიტად დააადგინეს. ამ ნოდებას იგი სიკვდილამდე ატარებდა.



VIII- IX საუკუნეების საეკლესიო მოღვაწე, სასულიერო მწერალი, საქართველოს ეკლესიის წმინდანი, ტაო-კლარჯეთის სამონასტრო კოლონიზაციის ფუძემდებელი.



ხანძთა



იშხანი

გრიგოლ ხანძთელი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა თანამედროვეებში. მის ნებას უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ, არა მარტო მისი მოწაფეები, არამედ უმაღლესი ხელისუფალნი. მაგალითად, IX საუკუნის 50-იან წლებში, ჯავახეთის საეკლესიო კრების დროს, რომელიც მოიწვიეს ქართლის კათალიკოსის არსენის არჩევის კანონიერების დასადგენად, გრიგოლის მხარდაჭერის შემდეგ, არსენის მოწინააღმდეგეებმა უკან დაიხიეს, იგი კათალიკოსად დარჩა. გრიგოლის ნებას წინ ვერ აღუდგა ვერც აშოტ კურაპალატი, იძულებული გახდა, სამუდამოდ დაევიწყა საყვარელი ქალი.

გრიგოლმა მონასტრებისთვის შეიმუშავა სამონასტრო წეს-განგება, ტიპიკონი. მისი ბიოგრაფის, გიორგი მერჩულეს თქმით, ამ მიზნით გრიგოლი გაემგზავრა ბიზანტიაში ერთ მოწაფესთან და დეიდაშვილ, საბასთან ერთად. მან მოვლო კონსტანტინოპოლი და ბიზანტიის სხვა წმინდა ადგილები. გაეცნო სხვადასხვა წეს-განგებებს, ასევე გრიგოლმა თავის მეგობარს იერუსალიმიდან საგანგებოდ ჩამოატანინა წმ. საბა განწმენდილის მონასტრის (ისრაელი) ტიპიკონი. სურდა, მის ტექსტს გაცნობოდა. მხოლოდ მას შემდეგ შეიმუშავა თავისი სამონასტრო წეს-განგება.

გრიგოლმა თავისი წესდება შეიმუშავა საბანძინდის მონასტრის საფუძველზე. წესდება უნდა გავრცელებულიყო ტაო-კლარჯეთის მონასტრებშიც (კ. კეკელიძე). სხვა მოსაზრებით, მის მიერ დამკვიდრებულ საეკლესიო განგებაში, იგულისხმება იერუსალიმური ლექციონერი – ერთ-ერთი უძველესი ქართულენოვანი ლიტურგიკული წიგნი (ე.ჭელიძე).

გრიგოლ ხანძთელი იყო სასულიერო მწერალი და მწიგნობარი. მისი ცხოვრების მიხედვით, ხანძთის მონასტერში ინახებოდა ჰიმნოგრაფიული კრებული, სანელინადო იადგარი (ლიტურგიკული კრებული მთელი წლისთვის).

გრიგოლ ხანძთელი გარდაიცვალა 861 წელს, 102 წლის ასაკში. ხანძთის მონასტერში, თავისი მოწაფეების გარემოცვაში.

გრიგოლის ცხოვრება აღწერა გიორგი მერჩულემ. ზედწოდება მომდინარეობს სიტყვიდან რჩეული, სჯული. ჩემი აზრით, გრიგოლი სჯულისმცნიერი იყო (პ. ინგოროყვა).

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება მოგვითხრობს მამა

გრიგოლის და მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეების სულიერ ღვაწლზე, ფართოდ გაშლილ სამონასტრო მშენებლობებზე ტაო-კლარჯეთში, შავშეთში და აფხაზეთში.

თხზულება ჩვენამდე მოღწეულია ერთადერთი ხელნაწერით, გადაწერილია XI-XII საუკუნეებში და დაცულია იერუსალიმში, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში (ხელნაწერი იერ. 2). ხელნაწერში დაცულ გიორგი მერჩულეს თხზულებას, პირველად მიაკვლია ნ. ჩუბინაშვილმა იერუსალიმში ყოფნის დროს. შემდეგ, 1902 წელს ნიკო მარმა, რომელმაც მოამზადა გიორგი მერჩულეს ნაწარმოების პირველი სამეცნიერო გამოცემა.

შინაარსიდან ჩანს, გიორგი მერჩულე ხანძთაში მოღვაწე ბერი ყოფილა, მისი სიტყვებით, ცნობები გრიგოლის შესახებ, მას შეუკრებია გრიგოლის მოწაფეთაგან და მოწაფეთა მოწაფეთაგან. იგი მხოლოდ სანდო წყაროებს ეყრდნობოდა. ტექსტის ბოლოს არის ანდერძი: ხოლო ხანძთისა წინამძღურისა და იოვანე ძმისა მისისა და წიგნისა ამის აღმწერელისა გიორგი მერჩულისა, სამთავემ გულმოდგინებით დაწერეს ხანძთას შინა ნეტარი გრიგოლის ცხოვრება. ტექსტზე დაყრდნობით, ანდერძი ეკუთვნის გიორგი მერჩულეს, თავისი თხზულება დაუწერია 951 წელს, თეოდორე ხანძთის წინამძღვრის და მისი ძმის, იოვანეს დავალებით და ხელშეწყობით (კ. კეკელიძე, ივ. ჯავახიშვილი).

სხვა მოსაზრებით, ანდერძი უნდა ეკუთვნოდეს არა ავტორს, არამედ ჩვენთვის ცნობილი, ერთადერთი ნუსხის გადამწერს, რომელსაც 951 წელს, გიორგი მერჩულეს თხზულება, უბრალოდ გადაუწერია, გიორგი მერჩულეს, ასევე ხანძთის წინამძღვრის და მისი ძმის იოვანეს ხელშეწყობით და დავალებით. თავად თხზულება შეიქმნა X საუკუნის 30-იან წლებში (ც. კახაბრიშვილი).

ბაგრატ ერისთავის, ადარნესე კურაპალატის ძის ინიციატივით, გიორგი მერჩულეს თხზულება გარკვეული დროის შემდეგ, განავრცეს და სასწაულები ჩართეს. ინტერპოლატორ ბაგრატ ერისთავად მიიჩნეოდა ადარნესე III-ის ძე, ბაგრატ IV ერისთავი (კ. კეკელიძე და ივ. ჯავახიშვილი) ინტერპოლაციას ათარიღებდნენ 958-966 წლებით. ასევე (პ. ინგოროყვა) 961-966 წლებით. ინტერპოლატორი უნდა ყოფილიყო ქართველთა მეფე ბაგრატ I (937-945 წლები), ქართველთა მეფის ადარნასე II კურაპალატის (899-923 წლები) ძე. ინტერპოლაციას ადგილი უნდა ჰქონოდა X საუკუნის 40-იან წლებში (ც. კახაბრიშვილი).

თინათინ ცერაძე



არტანუჯი

თბილისში, ვაკის რაიონში, ელიზბარ მინდელის ქუჩაზე შენდება წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის ტაძარი. გთხოვთ, შეიტანოთ თქვენი ნვლილი, ერთად ავაშენოთ ღვთის სახლი. მადლობას გიხდით.

**ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი
გიორგი უგრეხელიძე**

GE94LB0115137832317000
LBRTGE22
სს ლიბერთი ბანკი

GE64BG000000670704800
BAGAGE22
სს საქართველოს ბანკი

GE73TB7344136080100005
TBCBGE22
სს თიბისი ბანკი



...შურსა და ცილზე ამაღლებული...

არმაზის პარადიული მკვიდრი

სულ ათიოდე წელი თუ გავიდა, რაც სამუდამოდ გამოვეთხოვეთ ჩვენს შესანიშნავ მწერალს, დაუღალავ საზოგადო მოღვაწეს ლევან გოთუას.

იგი შედარებით ადრე გამოჩნდა ნუთისოფელს. კვლავაც მრავალი ჩანაფიქრის განხორციელებას ნატრობდა... მაგრამ ვისაც მისგანვე მოუსმენია მისი ცხოვრებიდან თუნდაც რამდენიმე ეპიზოდი, იქნებ მისი ასე ნაადრევი განშორება არც გაკვირვებოდა. ცხოვრების გზაზე მას გამარჯვების სიხარულთან ერთად, სამწუხაროდ, დაუმსახურებელი გულსატკეცილი არ მოჰკლებია, თუმცა იგი ყოველთვის მამაცურად იტანდა ბედის დარტყმებს... ჭირთა დათმენა კი სანაცვლოდ, როგორც მოგეხსენებათ, სიცოცხლისაგან დიდ საზღაურს მოითხოვს.

მან მაინც ბევრის გაკეთება მოასწრო, დიდი მემკვიდრეობა დაგვიტოვა და საზოგადო ასპარეზზე არაერთი საშვილიშვილო საქმის წამოწყებაშიც შეიტანა თავისი წვლილი.

* * *

მე ახლაც მახსოვს ორმოციანი წლები, როცა მისი სახელი ასე ერთბაშად გახმაურდა, მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ზედიზედ დაიდგა მისი რამდენიმე პიესა. მათ შორის ერთი საუკეთესო იყო „ერეკლე მეორე“, რომელიც ისეთ უნისონში აღმოჩნდა ჩვენი ხალხის იმჟამინდელ განწყობილებასთან: ომის მრისხანე წლები, პიესაში ჩაქსოვილი დიდი ეროვნული სულისკვეთება, მშვენიერი დადგმა, ჩინებულ მსახიობთა მთელი თანავარსკვლავედი: ვერიკო ანჯაფარიძე, ვასო გოძიაშვილი, სერგო ზაქარიაძე, გიორგი შავგულიძე, ალექსანდრე ოშიაძე... დაუვიწყარია ის წლები, დაუვიწყარია სპექტაკლიდან მიღებული შთაბეჭდილება.

* * *

მაგრამ მაინც ლევან გოთუას მწერლური ავტორიტეტის მთავარი ციხე-სიმაგრე მის ჩინებულ პროზაულ ქმნილებებს ეყრდნობოდა. ქართულ სიტყვასთან ჭიდილში მან აქ ახალი სიმაღლეები დაიპყრო.

მწერლის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ მხატვრულ პროზაში მან შედარებით გვიან მოსინჯა ძალა. როგორც ჩანს, ასეთი ნაბიჯისათვის იგი დიდი პასუხისმგებლობით ემზადებოდა. მართლაც, მისი პირველივე მოთხრობები „ყინვისის ანგელოზი“ და „კრწანისის სევდა“ ცხოვრებანაზი და გამოცდილი ოსტატის ხელითაა შესრულებული. აქედან მოკიდებული მისი შემოქმედება ახალ-ახალი ძიებებითაა აღბეჭდილი – სულ მოკლე დროის მანძილზე ლევან გოთუამ სამართლიანად დაიკავა კუთვნილი ადგილი უპირველეს ქართველ ოსტატთა შორის.

* * *

თანამედროვე ისტორიულ რომანში მწერალი და ისტორიკოსი თითქოს ეჯიბრება ერთმანეთს. სხვაგვარად სერიოზულ შედეგებზე საუბარი სრულიად ზედმეტი რამაა. ლევან გოთუა ყველა ნიშნით აკმაყოფილებდა ასეთ მკაცრ მოთხოვნას. მან ეს ჩინებულად ცხადვყო კიდევ თავის ისტორიულ მოთხრობებსა და რომანებში.

მართლაც, ლევან გოთუას მწერლური შთაგონების მეტი ნაწილი მშობლიური ქვეყნის ისტორიის მხატვრულ შემეცნებას მიეძღვნა. დღეს კარგად არის ცნობილი,

თუ რა შთაბეჭდავ ნარმატებებს მიაღწია მან ამ მეტად რთულსა და მნიშვნელოვან შემოქმედებით ასპარეზზე.

მან არამარტო ჩინებულად იცოდა საკუთარი ხალხის სისხლით დაწერილი ისტორია, არამედ მწერლის გუმანით გრძნობდა მის არსებით თავისებურებებს.

უცთომელი იყო ისტორიული კონცეფცია, რომელიც ჯავარივით გასდევს მთელ მის მოღვაწეობას ამ მიმართულებით.

ეროვნული სულისკვეთება რომელიმე პიროვნების ან რომელიმე ფენის პრივილეგია არასოდეს ყოფილა. მამულის გრძნობა მხოლოდ მაშინ აღწევს თავის აპოგეას, გარდაიქმნება მრისხანე ძალად, როცა იგი საყოველთაოა და ერთნაირად ეუფლება დიდსა და პატარას, უბრალო ადამიანებსა და „ამა ქვეყნის რჩეულთ“.

ლევან გოთუამ არაერთხელ სცადა ამ მნიშვნელოვანი ჭეშმარიტების მხატვრული დასაბუთება და კიდევ უფრო ღრმად ჩაგვახედა ჩვენი ქვეყნის ისტორიულ წარსულში.

ამიტომაც მითრიდატესა თუ კახთა მეფეების, ერეკლე მეორისა და გიორგი სააკაძის მხარდამხარ მის ვრცელ მხატვრულ ტილოებში ასე ცოცხლად არიან წარმოსახულნი სახალხო გმირები: ქოხსალამურა თუ შეუპოვარი დევკაცი ლომთათა, ოქროპაპა თუ მეზარე ალავერდელი. საქვეყნო განსაცდელის ჟამს, ყველა მათგანს ერთი მიზანსწრაფვა აერთიანებდა და ალბათ, სხვაგვარად წარმოუდგენელიც იყო.

წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველი ხალხი თავისთავში ვერ აღმოაჩენდა იმ დაფარულ ძალებს, რამაც იგი გადაარჩინა სულიერსა და ფიზიკურ განადგურებას. ჩვენი ისტორიის ტრაგიკული ფურცლების მხატვრულ წარმოსახვასთან ერთად, ოპტიმიზმი და მომავლის რწმენა არასოდეს ტოვებდა მწერლის შთაგონებას.

ამ ნიშნით ლევან გოთუა ქართული სულის ევოლუციის ერთი ყველაზე თანმიმდევარი მკვლევარი შეიქმნა.



საქართველოს ისტორიის მხატვრულ შემეცნებაში, მან სახელოვან ნინამორბედთა კვალდაკვალ, სრულიად საკუთარი და მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა.

მისი ისტორიული თხზულებები, ეს საგანგებოდ უნდა ითქვას, თანამედროვეობის სულითაა გაცოცხლებული და აქტიური ქმედების ძალას ინარჩუნებს. სწორედ ამ თვისებათა გამო „გმირთა ვარამის“ ავტორი თანამედროვე ისტორიული რომანის მიღწევათა თანაზიარად წარმოგვიდგება.

ლევან გოთუას ისტორიული მოთხრობები და რომანები სტრუქტურულ თავისებურებათა თვალსაზრისითაც მრავალ კითხვას აღძრავს. მათზე საუბარი აქ შორს წაგვიყვანდა. ერთი რამ კი მაინც უნდა ითქვას: თითქმის ყველა მათგანი, წინ წამოსწევს ადამიანური არსებობის რამდენიმე მნიშვნელოვან მხარეს, მაგრამ როგორც წესი, და ეს არის საგულისხმო, მწერლის ჩანაფიქრი არა მზამზარეულად, არამედ სწორედ მხატვრული დასაბუთების გზით აღწევს მკითხველის ცნობიერებაში. ასე ცოცხლდება ჩვენს თვალწინ გარდასულ დღეთა ძირითადი აზრი, რაც თავისთავად მეტყველებს მათი ავტორის მაღალ ოსტატობაზე.

ლევან გოთუა ქართული ენის დიდი ქომაგი იყო და ამ სფეროშიც მისი ძიებათა შედეგები სათანადოდ განსხეულდა, არსებობის უფლება შეიძინა მის მოთხრობებსა და რომანებში. ცნობილია მისი ყოველდღიური ზრუნვა ქართველი ხალხის ამ უძვირფასესი საუნჯის მოვლა-პატრონობის საქმეში. ან სერთოდ ყოფილა განა იმ ხანებში საქვეყნო საქმე, რომელიც დიდ მამულიშვილს გულთან არ მიეტანოს?

* * *

ბატონ ლევანთან მე არა მხოლოდ ქართული მწერლობა და ისტორია მაკავშირებდა, არამედ საქმიანობის სრულიად სხვა სფეროც.

შეიძლება ყველამ არც იცოდეს, რომ შესანიშნავი მწერალი, მრავალ საქმეთა მოთავე და ენთუზიასტი, ამასთან დაუღლეელი მოგზაური და გამოცდილი მთამსვლელი იყო. მას ფეხით ჰქონდა მოვლილი საქართველოს ყველა ხეობა და უღელტეხილი. ბოლო წლებში კი მისი განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო მიუვალი და მანამდე უცნობი გამოქვაბულების, ძველი სახიზრების აღმოჩენა და შესწავლა.

პირადად მეც მქონდა ბედნიერება, მასთან ერთად მევლო რამდენიმე ექსპედიციაში.

იქნებ, აქ საჭიროა ისიც ითქვას, რომ ლევან გოთუას, როგორც მთამსვლელისა და მოგზაურის მიზნები შორს სცილდებოდა მხოლოდ „წმინდა“ სპორტულ ინტერესებს. მის პიროვნებაში ბედნიერად იყო შერწყმული მწერალი და მოგზაური, მთამსვლელი და მკვლევარი.

* * *

ბატონი ლევანი დღეს მცხეთის მახლობლად, ღვთისმშობლის სახელობის არმაზის წიაღში განისვენებს. ნიშანდობლივია მისი უკანასკნელი არჩევანიც. აქ ყველაფერი საქართველოს ძველი ისტორიით სუნთქავს. სწორედ იმ წარსულით, რომლის მხატვრულ წარმოსახვასაც შესწირა მან საკუთარი სულიერი ცხოვრების უმთავრესი ნაწილი.

ძველთაძველ არმაზს დიახაც შევნის სახელოვანი მწერლისა და მემკვიდრის წმინდა საფლავი.

სარგის ცაიშვილი
საქ. მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,
სსრკ სპორტის ოსტატი მთასვლელობაში

ლევან გოთუას შესახებ გაზეთზე მუშაობისას უკვდავი „ქეთო და კოტეს“ დამდგმელ რეჟისორს ვახტანგ ტაბლიაშვილს შინ ვეწვიე.

– ბ-ნო ვახტანგ, „ქეთო და კოტემ“ თქვენ საუკუნო დიდება მოგიტანათ. რამ მიგიზიდათ ლევან გოთუას შემოქმედებაში?

– ჩვენი ერის სასიცოცხლო ფესვებში მისეულმა წვდომამ, – ბრძანა მან. მის სულს ვენაცვალე.

ბ-ნი ლევანის შემოქმედების გაცნობამ, ბევრი რამ მომცა, ბევრ რამეზე დამაფიქრა.

* * *

უმძიმესი იყო ჩვენი ცხოვრება დასაბამიდან დღემდე. მაგრამ ერთი არ მოკვდა. უძლიერესი ეგვიპტე კი მოკვდა. კართაგენიც მოკვდა. რამ გვიხსნა? თამარის, ქეთევანის და დავით აღმაშენებლის დიდ ზნეობრივ სიმტკიცესთან ერთად, კიდევ იყო ჩვენს ერში ის რაღაც ამოუცნობი ძალა, რამაც ღუხჭირში ამოათქმევინა მას სვეტიცხოველი, „ვეფხისტყაოსანი“ და „მუმლი მუხასა“.

ბედმა მარგუნა ლევან გოთუას ისტორიული შინაარსის პიესების დადგმა. ეს იყო მაღალმხატვრული ღირსების თხზულებანი, რომელთა სცენაზე განხორციელებამ აამალა ჩემი პროფესიული დონე.

„მეფე ერეკლეს“ აზრობრივი მაგისტრალი, ერის მომავლის სასიცოცხლო ძალთა ძიება იყო. სამშობლოს ბედზე ზრუნვას ეწირებოდა საუკეთესო მამულიშვილი, მაგრამ სასონარკვეთას სულიერი სიმხნევე თრგუნავს.

ემუშაობდით თავდავინყებით. საღამოს რეპეტიციები ნშირად შუაღამეს გადასცდენია. ჯვარცმულის, ღვთისთვის თავად ჯვარცმულ საქართველოს სახეს ვეძებდით.

ვასო გოძიაშვილის ერეკლე მეფე, ვერიკო ანჯაფარიძის ანა ბატონიშვილი, შალვა ღამბაშიძის პაატა, სერგო ზაქარიაძის ბესიკი, გიორგი შვეგლიძის საიათნოვა და ალექსანდრე ოშიაძის ბერუჩა ბრძოლითა და სიყვარულით შთაგონებულით სისხლხორციანი სახეები იყვნენ, მათი მოქმედება წვა იყო და ეს წვა მხურვალეობას ანიჭებდა მთელ სპექტაკლს.

ლევან გოთუას მეორე პიესა „დავით აღმაშენებელი“ სტილისტურად განსხვავდება „ერეკლესაგან“. ეს სხვადასხვაობა დრომ და ეპოქამ განაპირობა. ერეკლესაგან ორასი წელი გვაშორებს, დავითისაგან – ცხრაასი. ერეკლე ნგრევაში მყოფ სამშობლოს გადარჩენისათვის იღვწის, დავითი განადგურებული ქვეყნიდან ძლიერ საქართველოს ჰქმნის. „ერეკლეს“ სიტყვა ჩრდილიანია, ძარღვიანია, მდულარეა; „აღმაშენებლის“ სიტყვა შუქმოსილია, მონოლითურია, მდგრადია. „ერეკლეს“ მოქმედების დინება, თავანყვეტილ თერგს მაგონებს, „აღმაშენებლის“ მოქმედება – ზღვის ტალღას.


აი, ერეკლეს სიტყვა: „ამ დახნულ გულში რაც მორევი-ბოღმა ტრიალებს, იგი რომ მეთქვა, მთელ მსოფლიოს შეაშფოთებდა, მაგრამ ვის ვუთხრა, ვის შევჩვილო ჩემი ვარამი? ნუგეშს, პირიქით, ჩემგან ელიან. ხომ მე ვარ ამ ბედკრული ქვეყნის საბოლოო ჭირისუფალი“.

ახლა დავითს მოვუსმინოთ: „ვეწურთნე ქართული ნება და კუნთი, თორით შევჭედე ერის იარანი ჩემი დახსნილი, კვესით ავლესე დაშნა და მაჯა, რისხვით მოვზიდე შვილდი და გული... და თუ ამ ქვეყნად სიმართლეა ბედის საზომი, უკვე გათავდა საქართველოს ძნელ-ბედი ღამე!“

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

სილაქაზისა და სიყვარულის პოეტი

ანზორ სალუქვაძე (1931-2001) დრამატურგი, მწერალი, პოეტი. შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. დაამთავრა უცხო ენათა ინსტიტუტის ინგლისური ენის ფაკულტეტი. ინოში მოღვაწეობდა 1960 წლიდან. სცენარის ავტორია ფილმების: ზღვის ბილიკი (1962.), აღმაფრენა (1964.), სალამური (1964.), ვედრება (1967.), განგაში (1968.), ვერის უბნის მელოდიები (1973.), უბედურება (1979.), წიგნი ფიცისა (1983.), მოკვეთილი (1992.) და სხვ.



ანზორ სალუქვაძე არათუ წერდა ლექსს, თვითონ იყო ლექსი, თვითონ იყო ბუნების შედევი! მისი პოეზია ნათელი და ამალღებულია. ბევრს არ წერდა, და რასაც წერდა, გულმოდგინედ სრულყოფდა. ლამაზი ხელწერა ჰქონდა, ძერწავდა პირდაპირ. დროდადრო შეყოვნდებოდა, გახედავდა ნაწერს, თუ მოეწონებოდა, შვებით ამოისუნთქავდა და წერას განაგრძობდა. დრო არ ენანებოდა, ცხოვრების პრობლემებს მონად არ გახდომია. ინარჩუნებდა თავისუფლებას. საჭიროა, რომ დაინახო საკუთარი თავი, გარემო და დაიცვა წონასწორობა. მერე გაირკვა, რამდენი ცრემლი უღვრია პოეტს, ცრემლი სიხარულისა და სევდისა. ანზორი გაურბოდა პათეტიკას პატრიოტულ თემებზე, მაგრამ დანამდვილებით ვიცით, მას აწუხებდა თავისი ქვეყნის ბედი, ასევე აწუხებდა თავისი მეგობრების ცხოვრება...

ანზორი იყო არა მარტო პოეტი, არამედ პოეზიის შესანიშნავი მცოდნეც, მაგრამ ერუდიტი არ ყოფილა, მისი ცოდნა ხარისხობრივია და არა რაოდენობითი.

დრო გავიდა, მანძილი შემცირდა. რა დარჩა. ანზორს სიზმრებში ვხედავ. მივდეგ და ვერ ვენევი, უცებ ქუჩიდან გადაუხვევს და მეკარგება. ანზორს უსამართლოდ მოექცა ცხოვრება, მაგრამ პრინციპი ვერ შეაცვლევინა.

ჩვენ მაინც ვივლით, ჩვენ მაინც ვივლით იმავე გზით და იმავე სინდისით!

რა გზაა ეს გზა?

იგივე სუნთქვა, იგივე გემო მიუსაფრობის და სიღარიბის...

აი, რა გვეერთიანებდა ჩვენ. აი, ჩვენი საერთო ნიადაგი: მიუსაფრობა და სიღარიბე!

რევაზ კვესელავა

ჭემმარიტად მასში იყო სული ქართველი არისტოკრატისა... და რითაც უნდა ყოფილიყო გატაცებული, ყოველთვის პოეზიით შეპყრობილ ადამიანად, „ბედნიერ“ რომანტიკოსად რჩებოდა...

გურამ ბენაშვილი

პოეტი იყო და უყვარდათ, როგორც ნამდვილი პოეტი. არც არსებობით შეუწუხებია გარეშენი, არც მგოსნობით, არც პირადი ტრაგედიით...

რეზო ჭვიშვილი

მთავარი მაინც ის გახლავთ, ანზორის შინაგანი სამყაროც ისეთივე ლამაზი და სუფთა იყო. ტყუილად როდი ეწერა: იასამანი სულია ჩემი.

ემზარ კვიციანი

მერე და მერე, ამ თხემით ტერფამდე ლირიკოსმა და სიყვარულის რაინდმა, ცხოვრების ისეთი სიმწარეები ნახა, დიდი სულიერი ძალა და ფიქრისკაცობა რომ არა, იქნებ, თავიც ვერ დაეღწია საშინელი განსაცდელისგან...

გივი შაჰნაზარი

ჩვენი ხანგრძლივი და გულითადი ძმობისა ყველა წვრილმანი მახსოვს, მაგრამ არა ოთხმოცდაათს მიტანებული მინგრეულ-მონგრეული მუხსიერებით, არამედ იმით, რომ ურთიერთობის ყველა უმნიშვნელო შემადგენელშიც კი ლამაზი, მართალი, შემტვერი სულთა მპყრობელი იყავი, და ჩემს და ჩვენი სამეგობროს მუხსიერებაში საკუთარი „მინის ნაჭერი“ შეიძინე, რადგან დაბადებითვე გაგაჩნდა ის, რასაც ადამიანებში ძნელად თუ იპოვის ყველაზე მონდომებული მძებნელიც კი – მკაფიო იყავი სიკეთეში, სიყვარულში, ძმაკაცობაში და ლექსშიც მკაფიო.

სხვა რა გითხრა, ღვთაებრივო, მარად უმაგალითო და განუმეორებელი ლექსთა და ყველა კეთილი ადამიანური თვისებებით შემკული ბრწყინვალე მამულიშვილო, ანზორ!

აქ და მარად შენი ერთგული ძმა ჭაბუა ამირეჯიბი

* * *

იასამანი სულია შენი,
შენ – ჩემი სურვილი...
გაზაფხული ხარ შენ და
ჩემი წყურვილი.

იასამანი ხარ შენ,
სულ მთლიანად იასამანი ხარ,
მკლავს შენი სურნელი!
ან ჩემი სამარე ხარ,
ან ჩემი სავანე ხარ,
გაზაფხული ხარ შენ და
ჩემი წყურვილი...

შენ სხვა ხარ,
შენდარი ვინ არი?
შენ ზღვა ხარ, –
შენა ხარ მდინარე!
ცისფერი მდინარე,
იასამნის მდინარე...
იასამანი სულია ჩემი,
შენ ხარ სული ჩემი –
იასამანი!

იასამანი

კურთხეულ იყოს წამი იგი,
როცა პირველად
მე გაგჩნდი ქვეყნად, მშვენიერო,
შენს სახილველად!
ნეტავ, სად ვიყავ, ვინ ვიყავ ან
რა ვიყავ წინათ?
ეგებ მე ვიყავ შენი ქარი,



ანზორ სალუქვაძე და გურამ დოჩანაშვილი

ან შენი წვიმა?
 ან ეგებ ვიყავ მოლალული
 ღრუბლების რემა?
 მზის ჩასვლა – რქებით გახლართული
 ოქროს ირემი?
 ან ეგებ ვიყავ მე წალკოტი
 სხვა შენმიერი
 და მიგალობდა იადონი
 ხმით მშვენიერით?
 ან ეგებ შენი დღეც კი ვიყავ
 დაულამები! –
 ერთ უწყვეტ შვებად მოკრებილი
 ყველა წამება?
 ან ეგებ ვიყავ, ის, რაც არის
 შენი არსება,
 რაც მტანჯავს, რაც მკლავს და რაც მაინც
 მეღამაზება?
 შენ ხარ ედემი უშრეტელი,
 უხვი მაღალი!
 მე – ედემს შიგან თვალი შენი
 „ნორჩი, ახალი...“
 როგორც ნაზამთრალ ვაზის ლერწზე
 ყლორტის გაჩენა,
 როგორც წყვდიადში შუქის შობა
 და გადარჩენა?
 როგორც მენავე ზღვათა შინა
 ძალთა მხმობელი,
 მაგრამ მხნე, მშვიდი, მოიმედე
 და მადლობელი.

გული ამიმღერდა ცისფერ სავანეში,
 ასეთ სიღამაზეს მივესალმები.
 ო, რა სევდიანი ჩავალ სამარეში,
 თუ არ ჩამატანეთ იასამნები!

მჯერა, ბევრი დამრჩა კიდეე სავალი,
 გზებზე ყვავილებით სავსე კორდებია,
 ქალივით ჩურჩულებს იასამანი,
 თითქოს სიყვარულის ცეცხლი მოსდებია.

ნიავი, მაისი, ბაღში, სავანეში...
 ასეთ მაისებში გზაა სავალი!
 ო, რა სევდიანი ჩავალ სამარეში,
 თუ არ ჩამატანეთ იასამანი!

იარე ჩქარა!
 რაღაც ხდება სულში და გარეთ,
 გამოუცნობი და უსახელო,
 ტორტმანებს არე,
 ვერ ეტევა სხეულში არე, –
 მთა ნაკადულით გადახლართული, როგორც საყელო!

იარე ჩქარა!
 დიდებული იქნება თქეში,
 მზე ღრუბლებს აზის, როგორც მიმინო!
 თვითონ ირბინონ,
 ნუ აიყვან ყვავილებს ხელში!
 იარე ჩქარა!
 დიდებული იქნება თქეში,
 მზე ღრუბლებს აზის, როგორც მიმინო!

იარე ჩქარა!
 უფრო ჩქარა!
 და... უფრო ჩქარა!
 იარე ჩქარა!
 შეიხსენი უფრო საყელო!
 ტორტმანებს არე,
 ვერ ეტევა სხეულში არე!
 და ხდება რაღაც მშვენიერი და უსახელო!

ო, სიჭაბუკევე,
 შენ შემინდე, რამეთუ უწინ...
 რამეთუ უწინ, არ ვიცოდი მე შენი ფასი!

ასი,
 ათასი,
 ათას ერთი! –
 კენტი და ლუნი,
 კენტიც და ლუნიც შენმიერი
 ნექტარით სავსე,
 ო, რა გულგრილად,
 რა გულგრილად დავცალე თასი!

ო, სიჭაბუკევე,
 შენ შემინდე, რამეთუ ვუნყი,
 რომ ცოდვას ამგვარს, არასოდეს
 შემინდობს ღმერთი!

დრო აწამეს, როგორც ქრისტე,
 გახსენ ბაგე სამინე!
 ვერსალებში ქარი ქრის და



ანზორ სალუქვაძე და ნოდარ დუმბაძე



ანზორ სალუქვაძე, რეზონანსები, ქაბუა ამირეჯიბი

რობესპიერს აღვიძებს!
 ბნელ დერეფანს ველარ გავცდით,
 კარიც გამოგვიკეტეს:
 რად აღიდებო ასე განცდით
 ბოროტების სიკეთეს!

მენამული საუბარი

- რით განიბანდი?
- ვარდის წყლით და ზამბახთა ცრემლით,
- რას ისხურებდი?
- გადათიბულ მინდვრების სურნელს,
- რას ჩაიცვამდი?
- ხელიკის კუდით მოქსოვილ პერანგს,
- რას იცეკვებდი?
- ამღვრეული მდინარის ცეკვას,
- სად იცეკვებდი?
- ბრონეულის დასიცხულ ბაღში.

რა ინდობა?

- რაღას ვენდო... რა ინდობა?
- ამ უნდობარ დროში?
- ენდე მხოლოდ რაინდობას
- სიყვარულის დროშით!
- ის რა იყო? ასე ბრმად რომ
- ვადიდებდით მაშინ?
- არაფერი, ყალბი დაფნა -
- ფარისეველთ ტაში.

ფიროსმანის ლექსი

აღარ ეშველა, არ დასრულდა ქვეყნად ბაზრობა!
 ველარ გავიგე, ასე რისთვის შექმნა განგებამ?!
 რა ამბებია, რა ხალხია, ან რა ჰაზრები...
 არც რა იციან, არც არაფრის არ სურთ გაგება!

ყველა ცრუია, აღარავინ არი ალალი...
 მთელი დუნია მენწვილმანის დახლი გახადეს!
 მერე მეტკინა - რომ ქალაქში შველი არ არი!
 და საჩქარეზე მშვენიერი შველი დავხატე.
 შველი დავხატე... რად დავხატე ქალაქში შველი?!
 ვაი და, ჩემს შველს მეეზოვემ ტყავი გახადა!
 აბა, რას ვკადრებ მეეზოვეს, მე რით ვუშველი?
 დარდი მომანვა, ავიღე და ტიკი დავხატე...

ტიკი დავხატე, მერე ტურფა ქალი დავხატე!
 სუფრა დავხატე, მეგობრების ლხინი დავხატე!
 რაც არ მეზადა, ყველაფერი ერთად დავხატე!
 თითქოს ცხოვრება დიდებული რამე გავხადე!

მაგრამ სად თქმულა, ვინ დაყნოსა სარკეში ვარდი?!

ანი და ბანი

(ვახტანგ VI გახსენება)

„ანი, ბანი და განი და“
 ნეტა რა მინდა, რა მინდა?
 ან მინდა თავის სიკვდილი,
 ანდა სხვაიმე რა მინდა!

უფრო-რე მინდა ტკივილი -
 ძმისთვის მომკვდარი ძმა მინდა!
 ლამაზი ქალის ძუძუზე
 ცეცხლმოდებული ძნა მინდა!

ან კიდეც მინდა...
 რა მინდა?
 მზე მინახები ფრთა მინდა!
 ძირს დაცემული სასიძო.
 დაქვრივებული და მინდა!

მინდა საყვარლის ქორწილი -
 შხამის თასების ცლა მინდა,
 განბილებული მორწმუნე -
 დამორცხვებული ცა მინდა!

ან კიდეც მინდა...
 რა მინდა?
 ეგებ, სხვა არცა-რა მინდა?!
 მინდა შენ მყავდე ცოცხალი!
 შენთვის სიკვდილი არ მინდა.
 ჯერე შენ მოკვდი, მერე მე,
 რომ ვთქვა სიცოცხლე არ მინდა!

„ანი, ბანი და განი და“
 რანი და მოვაკანი და
 გასრულდა ყოვლნი წერილი:
 სახლი და ბანი, კარი და...



ოთარ ქილაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ანზორ სალუქვაძე

„ანი, ბანი და განი და“
ნეტა რა მინდა, რა მინდა?
ან მინდა თავის სიკვდილი,
ანდა სხვაიმე-რა მინდა!
1962

მცხეთის იკაროსი

ახლოს ზედაზნის ტყეებია
და ლურჯი ნისლი – სუნთქვა არაგვის,
(ახლა ზაფხულის დღეებია სააგარაკო).
და მტკვრის ტალღებში სიზმარივით კრთის
ჩემი მცხეთა – რუხი ქალაქი.
აქედან გზები ვარსკვლავთ ლურჯი
ქვეყნისკენ მიდის
ხევეზზე გავლით
და ხეებიდან რბილი ბინდი
გამოდის მალვით –
მუქდება არე!
ირინდება, შეშდება ალვა
მდინარის რიდით...
მდინარეების წყალი
და „წყნარზე წყნარი“
ამოდის მთვარე!
ვართ სასწაულის მომლოდინე და
მოთვალთვალე.
ეს მერამდენედ, ო, მერამდენედ,
არმაზის ძველი კოსმლორომიდან
ამოდის მთვარე!

ილიას მკვლელი

მამულო!
ეს ცა, ეს მთა, ეს ველი
ვაი, რომ ისევ დაუცველია.
ვაი, რომ ფხიზლობს ილიას მკვლელი...
ილიას მკვლელი, შენი მკვლელია!
ვაი, რომ არეც აღავსეს შიშით,
ბედის სასწორზე ჰგეოს სოფელი.
ილიას მკვლელი, ეს არის ჯიში –
ვერაგი, ფრთხილი და უღმობელი.
ილიას მკვლელი, ეს არის მოდგმა
„მარად და ყველგან“ შენთან
მყოფელი.
ილიას მკვლელი, პირდაპირ რომ
ვთქვა,
შენივე შვილია, უფლის მგმობელი!
ილიას მკვლელი... ის, ვით ორფეოსს
ყმანვილს ჩანგს სტაცებს –
უნამლავს რწმენას,
იმედის ნაცვლად, აწვდის მორფიუმს
და შენს ოცნებებს ძირშივე ცვლავს!
თრიაქის კვამლიც, ისევ, ვით გველი,
მას შენს ყლორტებზე შეუკვლევი,
ილიას მკვლელი...
ილიას მკვლელი...
ილიას მკვლელი, შენი მკვლელია!..

ამიგო მის!

რევან თვარაძეს და
თამაზ ჩხენკელს...

ამიგო მის!
ვართ ისევ მარტო
და შელამების მკრთალი ნათება
იმავე რიდით იფარებს მანდილს,
იმავე გზებით მიემართება.
ამიგო მის!
დღეს იგივე თემა
იდუმალებით არის ფენილი,
ვით სიყმანვილის აჩრდილი „ნემო“ –
მფარველი, მხნე და არახდენილი.
ამიგო მის!
ნანატრი გემი
სწუხს – ჩვენს წინ ავი ზღვაა კარბის...
იგივე სუნთქვა, იგივე გემო
მიუსაფრობის და სილარბის.
ამიგო მის!
დაიმსხვრა „გალაც“,
სულში რომ ასე მძაფრად რეკავდა
და აშულებით ნაბილწულ ქალაქს
გაშორდა მისი ლურჯი ფრეგატი.
ამიგო მის!
ფრინველი დილის
ფრთებს ალბათ ისევ გაშლის
შინდისფრად,
ჩვენ მაინც ვივლით, ჩვენ მაინც
ვივლით
იმავე გზით და იმავე სინდისით!



მტირალას ეროვნული პარკი



მტირალას ეროვნული პარკი

მტირალას ეროვნული პარკი დაარსდა საქართველოს პარლამენტის მიერ 2006 წლის 25 მაისს მიღებული კანონით **მტირალას ეროვნული პარკის შესახებ**.

მტირალას ეროვნული პარკი შეიქმნა უნიკალური ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების შენარჩუნების, კოლხური ტყეების ეკოსისტემის ხანგრძლივი დაცვის, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და რეკრეაციული საქმიანობის მიზნით.

იგი მდებარეობს აჭარაში. ეროვნული პარკის ტერიტორია, მოქცეულია ქობულეთის, ხელვაჩაურის და ქედის მუნიციპალიტეტების ფარგლებში. გეოგრაფიულად მიეკუთვნება სამხრეთ კოლხეთს და მცირე კავკასიონს, აჭარა-იმერეთის ქედის დასავლეთ ნაწილს – შავი ზღვის მახლობლად მდებარე ქობულეთი-ჩაქვის ქედს.

ეროვნული პარკის საერთო ფართობია 15806 ჰა. წარმოდგენილია, უნიკალური კოლხური ტყით დაფარული სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებით. იგი დაცული ტერიტორიაა, ანუ ისეთი ტერიტორია, სადაც ქვეყნის ბუნების გამორჩეული მონაკვეთი, ერის **ბუნებრივი მემკვიდრეობა** დაცული. მსოფლიოში პირველი – **იელოუსტონის ეროვნული პარკი** დაარსდა 1872 წელს.

საქართველოში ბუნების ტერიტორიულ დაცვას ხანგრძლივი ისტორია აქვს. XX საუკუნემდე ბუნებრივ ტერიტორიებს იცავდნენ რელიგიური წარმოდგენების შესაბამისად. მაგალითად, ხატის ტყეები საქართველოს მთაში – ხევში, ხევსურეთში, მთიულეთში და სხვ. ასევე საფეოდალო-სამონადირეო სავარგულებად გამოყენების მიზნით. XX საუკუნის დასაწყისში, დაიწყო დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბება. კავკასიაში პირველი დაცული ტერიტორია, **ლაგოდეხის ნაკრძალი** დაარსდა 1912 წელს.

აჭარის რეგიონში პირველი დაცული ტერიტორიები იყო **კინტრიშის და ცისკარას ნაკრძალები** (1959 წ). სულ მალე, 1961 წელს გაურკვეველი მიზეზით, **ცისკარას** სახელმწიფო ნაკრძალი გაუქმდა.

სახელმწიფო ნაკრძალებს, ეროვნულ პარკებს, ბუნების ძეგლებს და აღკვეთილებს, მართავს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო.

რით განსხვავდება ეროვნული პარკი სახელმწიფო ნაკრძალისგან?..

კანონმდებლობის მიხედვით, სახელმწიფო ნაკრძალი იქმნება **ბუნების ბუნებრივი პროცესების და გენეტიკური რესურსების ხელუხლებელ მდგომარეობაში შენარჩუნებისა და უმნიშვნელო ზეგავლენის მქონე, მეცნიერული კვლევა-ძიების, საგანმანათლებლო საქმიანობის და გარემოს მონიტორინგის მიზნით**.

სახელმწიფო ნაკრძალში არც ტურიზმია დაშვებული და არც რესურსების – ტყის, სათიბ-საძოვრების, ველური ხილისა თუ კენკრის რაიმე სახით გამოყენება. ნებადართულია მხოლოდ სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობა.

ეროვნული პარკი იქმნება **ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის, შედარებით დიდი და ბუნებრივი მშვენიერებით გამორჩეული ეკოსისტემების დასაცავად, სასიცოცხლო გარემოს შენარჩუნების, მეცნიერული, საგანმანათლებლო და რეკრეაციული საქმიანობისთვის**.

ეროვნულ პარკში გამორჩეული ბუნებრივი მემკვიდრეობაა დაცული, ხოლო მისი დიდი ნაწილი, ღიაა ტურისტებისა და დამსვენებლებისთვის...

ეროვნულ პარკი სახელმწიფო ნაკრძალისგან განსხვავდება. პარკი შესაძლოა, იყოს მრავალფუნქციური და გამოიყოს შესაბამისი ზონები.

მტირალას ეროვნულ პარკში სამი ზონაა. 1. ბუნების მკაცრი დაცვის ზონა, რომელიც პარკში ჩართულ ნაკრძალ მონაკვეთებს წარმოადგენს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სამეცნიერო და საგანმანათლებლო კუთხით. ამ ზონას მტირალას პარკის 16%-ი უკავია. 2. ვიზიტორთა ზონა – ტურისტების მოზიდვა ეროვნული პარკის მთავარი ფუნქციაა, ტურიზმის ზონაშიც არ არის ნებადართული რესურსების მოპოვება, იქ ბუნებამ უნდა შეინარჩუნოს ესთეტიკური ღირებულება, მიმზიდველი უნდა იყოს ვიზიტორებისთვის. მას მტირალას პარკის 54%-ი უკავია. 3. ტრადიციული გამოყენების ზონას პარკის მესამედი, 30%-ი მიეკუთვნება. ამ ადგილებს ხალხი ტრადიციულად იყენებს შემის თუ ტყის არამერქნული რესურსების – სოკოს, კენკრას მოსაპოვებლად და პირუტყვის საძოვრებად. ტრადიციული გამოყენება გაგრძელდება, ვიდრე ადგილობრივებს ესაჭიროება.



უძველესი ენდემური სახეობა უნგერის შქერი (Rhododendron ungeri)



მტირალას ეროვნული პარკის ერთ-ერთ ტურისტულ მარშრუტზე

რით გამოირჩევა სამხრეთ კოლხეთი?..

კავკასია გამოირჩევა ბუნების უნიკალურობითა და მრავალფეროვნებით. რეგიონის ბუნება ადამიანის სამეურნეო ზემოქმედების წნეხის ქვეშაა, რაც საფრთხეს უქმნის როგორც ცალკეულ სახეობებს, ასევე ეკოსისტემის წონასწორობას. კავკასია საყოველთაოდ აღიარებულია, ეკორეგიონად და ფიგურირებს მსოფლიოს ბიოლოგიური მრავალფეროვნების დონით, უნიკალური და დაცვის თვალსაზრისით პრიორიტეტულ 25 რეგიონს შორის, – ტროპიკული ანდეზის, ბრაზილიის ატლანტიკური ტყეების, მადაგასკარის, ფილიპინების, ახალი ზელანდიის, ხმელთაშუა ზღვისპირეთის და სხვ.

საქართველო მდებარეობს კავკასიის ცენტრალურ ნაწილში. კავკასიის მსგავსად, გამოირჩევა ბიომრავალფეროვნებით. განსაკუთრებული ადგილი აქარას, სამხრეთ კოლხეთს უკავია.

აჭარა მდებარეობს კავკასიის ეკორეგიონის, დასავლეთ მცირე კავკასიონის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. მიდდარია კოლხური ფლორის მრავალფეროვნებით. კოლხეთი გამყინვარების დროს, სითბოს მოყვარული სახეობების თავშესაფარი ყოფილა. აქ მესამეული პერიოდიდან (მილიონ წელზე მეტი) უწყვეტად ხარობს **ზომიერი პირობების მოყვარული ტყეები**. სამხრეთ კოლხეთი (აჭარა და თურქეთის მიმდებარე ტერიტორია) გამოირჩევა უძველესი ენდემების (დედამინაზე მხოლოდ ამ მონაკვეთში გავრცელებული სახეობების) სიუხვით. სწორედ, ეს განსაზღვრავს მტირალას ეროვნული პარკის და მისი დამხმარე ზონის დაარსების გლობალურ მნიშვნელობას.

მტირალას მონაკვეთზე აღირიცხება 310 სახეობის ველურად მზარდი მცენარე, მათ შორის რელიქტური (უძველესი დროიდან შემორჩენილი) 67 სახეობა. 27 ენდემური სახეობაა, აქედან 17 აჭარასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზეა. უძველესი ენდემური სახეობებია **მედვედვის არყი, უნგერნის შქერი, ეპიგეა და სხვ.**

შესწავლის შედეგად, ცხოველთა სამყარო **ტუძუმწოვრები, ფრინველები, ამფიბიები, რეპტილიები და თევზები** – წარმოდგენილია 150 სახეობით.

29 საქართველოს წითელ ნუსხაში, ხოლო 11 საერთაშორისო წითელ ნუსხაშია შესული, როგორც მსოფლიო მასშტაბით, გადაშენების პირას მყოფები.

დიდი ზომის ტუძუმწოვრების შესწავლამ დაგვანახა, რომ სამხრეთ კოლხეთის ფაუნის მთავარი სახეობების რიცხვი მკვეთრად შემცირებულია, იშვიათად გვხვდება – **არჩვი, ფოცხვერი, გარეული ღორი, შველი. არც მურა დათვის მდგომარეობაა უკეთესი, მდინარეებში საგრძნობლად შემცირებულია კალმახი...**

მტირალას ბუნებრივ ლანდშაფტს, ელფერს სძენს მაღალი ტენიანობა, ხშირი წვიმები და ნისლი. აქ მდებარეობს ყოფილი საბჭოთა კავშირის ნალექიანობის პოლუსი. ატმოსფერული ნალექების ოდენობა ზოგ ადგილებში 4000 მმ-ს აჭარბებს. რაც ტენიან სუბტროპიკულ სარტყელს ახასიათებს. გვხვდება 1 ჰა 30-35 მეტრწიანი სახეობა, უჩვეულოდ ბევრია ზომიერი სარტყელისთვის, რაც დამთვალეირებლებს ტროპიკულ ტყეში ყოფნის განცდას უქმნის.

კულტურული მემკვიდრეობა

ტრადიციული საყოფაცხოვრებო არქიტექტურის თვალსაზრისით, უნდა გამოვყოთ სოფელი **ჩაქვისთავი**. იგი დაშორებულია განსახლების ძირითად ზოლს, გარს ერტყმის მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორია. აქ დღემდე შემორჩენილია ძველი შენობები, ნყლის წისქვილები, მატერიალური კულტურის ობიექტები. დამხმარე ზონის ფარგლებში, თუ მის სიახლოვეს მდებარე სხვა სოფლები, გამოირჩევა კულტურული და ბუნებრივი ლანდშაფტების თავისებური შეხამებით და მიმზიდველობით.

დამხმარე ზონის სიახლოვეს, არის ზენდიდის ციხე, რომელიც XI ს-ის დასასრულით და XII ს-ის დასაწყისითაა დათარიღებული. აჭარისწყლის ხეობაში შესწავლილია, საეკლესიო ნაგებობები, ეროვნული პარკის მახლობლად მდებარე ახალი ტაძრები.

მატერიალური კულტურის ძეგლებიდან მნიშვნელოვანია XI-XIII საუკუნეების მრგვალთალოვანი ხიდები.

ასე რომ, მტირალას ეროვნული პარკი და მისი დამხმარე ზონა ველური ბუნების ცნობილი არეა. დაცული ტერიტორია, აჭარის რეგიონში ზრდის ეკონომიკურ სივრცეს და ხელს უწყობს ადგილობრივების ცხოვრების დონის ამაღლებას. კარგად ფუნქციონირებს ტურისტული სექტორი. მტირალას ეროვნული პარკი და მისი დამხმარე ზონა პროგრესული რეგიონული დაგეგმარებისა და მდგრადი განვითარების კარგი მოდელია.



ადგილობრივებთან ერთად იგეგმება მტირალას ეროვნული პარკის დამხმარე ზონა



ტურისტებს ტრადიციული საყოფაცხოვრებო არქიტექტურაც აინტერესებთ

საშუალოვადიან პერსპექტივაში, მტირალას ეროვნული პარკი და დამხმარე ზონა, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სამხრეთ კოლხეთის დაცული ტერიტორიების ქსელის შექმნისა და ტრანსსასაზღვრო (თურქეთის დაცულ ტერიტორიებთან) განვითარების კუთხით.

მოენყო და სათანადოდ აღიჭურვა ეროვნული პარკის ადმინისტრაციული ცენტრი. მდებარეობს დაბა ჩაქვში, მტირალას ეროვნული პარკისკენ (სოფ. ჩაქვისთავი) მიმავალი გზის სიახლოვეს. გათვალისწინებულია პარკის მთავარი შესასვლელის და ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობა. ტურისტული ბილიკების, ტურისტებისა და მცველებისათვის თავშესაფრების მოწყობა.

რა სარგებელი მოაქვს მტირალას ეროვნულ პარკს და დამხმარე ზონას?..

ეროვნული პარკი ქმნის შესაძლებლობას, ტურიზმის (მათ შორის ეკოტურიზმის) განვითარებისთვის. მტირალას ეროვნული პარკი საქართველოში ერთადერთი დაცული ტერიტორიაა, რომლის ბაზაზე საზღვაო და სამთო ტურიზმის შეხამების მოდელი ამოქმედდება. ეს კი, ქვეყნის ეკონომიკის და ტურიზმის სწრაფი ზრდის პერსპექტიულ მიმართულებად ჩაითვლება. ასევე ვითარდება ტურისტების მომსახურებისთვის მცირე და საშუალო ბიზნესი, იქმნება მარტივი, საოჯახო სასტუმროები, კაფე-რესტორნები, საპიკნიკე კუთხეები. ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, ხალხური რენვის ნიმუშების და გასაღების უკეთესი პირობები, ადგილობრივები მონაწილეობენ ტურისტების

საექსკურსიო მომსახურებაში და სხვ.

მნიშვნელოვანია **სამეცნიერო ტურიზმის** განვითარება. უნიკალური ფლორა, მრავალი ქვეყნის მეცნიერის ინტერესს იწვევს. შესაძლებელია, ფრინველებზე დაკვირვების მოყვარულ მოგზაურთა მოზიდვა...

ეროვნულ პარკს აქვს დამატებითი გარემოსდაცვითი ფუნქცია, შენარჩუნდება ქობულეთი-ჩაქვის ქედის ეკოსისტემის მდგრადობა და ეკოლოგიური ნონასწორობა. თავიდან ავიცილებთ ეროზიულ-მეწყურულ მოვლენებს და წყალმოვარდნებს, არა მარტო მთაში, არამედ ბარში. აჭარის დიდ ნაწილს (ქ. ბათუმის ჩათვლით), სტაბილურად მიენოდება სუფთა წყალი.

ბუნების მდგრადი გამოყენება, ბუნებრივი რესურსებით მუდმივი სარგებლობის გარანტია. ამ ტყეებისა და ნიადაგის ნაყოფიერ ფენას შთამომავლობაც გამოიყენებს. რაც შეეხება საგანმანათლებლო ფუნქციას, დაცული ტერიტორიები არის საუკეთესო ადგილი, სკოლის მოსწავლეებისთვის საველე გაკვეთილების, ხოლო სტუდენტებისთვის საველე პრაქტიკისთვის ბიოლოგიაში, გეოგრაფიაში, ეკოლოგიაში, თუ შესაბამის სოციალურ-ეკონომიკურ დისციპლინებში.

დაცული ტერიტორიის დაარსებამდე, შესწავლის პროცესში, ყველა ნიუანსი ადგილობრივებთან უნდა შეათანხმონ, ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიული თანაცხოვრება, სასიკეთო და თვალსაჩინო რომ იყოს...

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF) კავკასიის პროგრამა და ასოციაცია მთა-ბარი (ბათუმი).



კოლხური ტყე



მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის შენობა დაბა ჩაქვში

დავით სარაჯიშვილის დაბადებიდან 155 წლისთავი

ბარონ დე ბაი და დავით სარაჯიშვილი

ცნობილმა ფრანგმა მეცნიერმა ბარონ დე ბაიმ (1853-1931) საქართველოში სამჯერ, 1897, 1898 და 1899 წლებში იმოგზაურა. მასპინძლები იყვნენ ილია ჭავჭავაძე და დავით სარაჯიშვილი,

ბარონ დე ბაი ასევე მეგობრობდა აკაკი წერეთელთან, იაკობ გოგებაშვილთან, ალექსანდრე ცაგარელთან, ნიკო ცხვედაძესთან, თედო სახოკიასთან და სხვ.

დე ბაიმ პარიზში, ფრანგულ ენაზე გამოსცა საინტერესო შრომები: **საქართველოში (1898წ.)** და **კავკასიის ქედის ჩრდილოეთი (1899წ.)**.

1899 წლის 24 ოქტომბერს თბილისში **ფანტაზიის პალში** ბარონ დე ბაის წარმატებულმა ქართველებმა ნადიმი გაუმართეს, სადაც ილია ჭავჭავაძე და დავით სარაჯიშვილიც იყვნენ.

1900 წელს დე ბაიმ პარიზიდან დავით სარაჯიშვილს გამოუგზავნა თავისი ნაშრომი: *თბილისი – ჩემს საუკეთესო მეგობარს დავით სარაჯიშვილს, რომლის სიყვარული შთამაგონა, მისმა კეთილმა გულმა, მომხიბვლელმა და ლამაზმა ქვეყანამ...*

1906 წელს დე ბაი ილია ჭავჭავაძეს წერს, – *წილად მხვდა ბედნიერება, ვიყო ჩემს მეგობარ დავით სარაჯიშვილთან, ვუერთდები მას და გიზგავნი სალამს, ჩემი საუკეთესო მოგონებებით...*

მამ ასე, 1906 წელს პარიზში დავით სარაჯიშვილთან სტუმრად ყოფილა დე ბაი. კარგ მეგობრად მიიჩნევდა.

ყოველთვის, როცა პარიზში დე ბაი რომელიმე ნაშრომს გამოქვეყნებდა, თავისი ავტოგრაფით უგზავნიდა დავით სარაჯიშვილს. ასე გამოხატავდა გულწრფელ პატივისცემას დიდი ქართველის მიმართ...

P.S. ბაი (Bayc) ამურ უგიუს ლუი ჟოზეფ ბერტელო (Berthelot) ბარონ დე (1853-1931) იყო ფრანგი მეცნიერი, არქეოლოგი და საზოგადო მოღვაწე. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საფრანგეთის და საქართველოს კულტურულ ურთიერთობაში. ილია ჭავჭავაძეს მისთვის უჩუქებია თავისი სურათი, ავტოგრაფით: **ბარონ დე ბაის, ილია ჭავჭავაძე, 1899წ. ტფილისი.**

ილიას პირად არქივში დღემდე დაცულია ბარონ დე ბაის ნაჩუქარი წიგნი: **კავკასიის ქედის ჩრდილოეთი**, სადაც ვკითხულობთ, – პოეტს, პატრიოტს, მშენებელს ქვეყნის შვილს, სადაც მზე მუდამ კაშკაშებს, ტფილისი, 1899 წლის 12 ნოემბერი, სოსიკო დე ბაი.

დავით სარაჯიშვილის მასწავლებელი და მეგობარი

ის გახლდათ, ცნობილი გერმანელი პროფესორი ადოლფ ვაგნერი (1835-1917).

1902 წელს ბერლინში გამოქვეყნდა მისი ნაშრომი: *მინათმომქმედი და მრენველი ქვეყანა*. სადაც საუბარი ყოფილა, საქართველოში სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებაზე. ნაშრომის მასალა დავით სარაჯიშვილმა მიუწოდებია.

დებია.


1903 წელს გაზეთ **ივერიაში** ადოლფ ვაგნერის წიგნზე *მინათმომქმედი და მრენველი ქვეყანა* – დაიბეჭდა ბიბლიოგრაფია.

...ყოველი მთავრობა, რომელიც თავისი ხალხის კეთილდღეობისთვის ზრუნავს, მოვალეა, ისეთ ღონისძიებას მიმართოს, რომ ადგილობრივებმა მიწას თავი არ დაანებონ, განმადევებელ კაპიტალისტურ მრეწველობას ჯეროვანი მეტოქეობა გაუწიონ ცხოვრების ბოლო ბრძოლაში. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისთვის. თანდათან ჩვენი ქართველობა მიწას თავს ანებებს, რადგან ჩვენც შეგვახვედრა კაპიტალისტურმა მრეწველობამ თავისი მძლავრი ტალღა. იქ, სადაც ქართველმა მეურნეობა უსარგებლოდ დაინახა, სხვა ტომის ხალხი გამაგრდა და დიდი სარგებლობით,

ფეხიც მოკიდა. ჩვენი ქართველობა სამშობლოდან გაძევების გზაზე დადგა, სხვა ერებმა ეკონომიკურად ლამის დაგვიპყრო. ჩვენ მამულიშვილს, დავით სარაჯიშვილს ეს მეცნიერული ჭეშმარიტება არა თუ თეორიულად გაუზრებია, არამედ ამ აზრის დასამტკიცებელი მრავალი საბუთი შეუკრებია და თავისი ვრცელი ცნობა გადაუცია პროფესორ ადოლფ ვაგნერისთვის, რომელსაც სამეცნიერო თხზულება, თავისი მოწაფისთვის მიუძღვნია...

აი, რას ამბობს პროფესორი ვაგნერი: *ეს გამოცემა მიუძღვენი ჩემს ადრინდელ მოწაფეს, რომელიც ბოლო დროს დადის ჩემს ლექციებზე, ჩემს მეგობარს, დოქტორ დავით სარაჯიშვილს, საუკეთესო მცოდნე კაცს, როგორც მეურნეობაში, ასევე მრეწველობასა და ვაჭრობაში. მან დამავალა, ჩემი აზრის დასასაბუთებლად გადმომეცა შესანიშნავი ცნობანი, რომლებიც გამიადვილებს, უკეთ გავეცნო ეკონომიურ და სოციალურ ცხოვრებას, დაახლოებით ვნახე, როცა თავის სამშობლოში სტუმრად ვენვი.*

ასე რომ, დავით სარაჯიშვილს ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი ადოლფ ვაგნერი სამშობლოში დაუპატიჟია. თავის წიგნში – *მინათმომქმედი და მრენველი ქვეყანა*, დავით სარაჯიშვილს ასეთი წარწერა მოუწადადებია, –



დავით სარაჯიშვილი



კონიაკის ქარხნის პავილიონი

ჩემს ქართველ მეგობარს, დავით სარაჯევს.

გერმანელ მეგობარს დავით სარაჯიშვილისთვის, ასევე მიუძღვნია ნაშრომი პოლიტიკური ეკონომიის ისტორია.

ცნობილი ქართველი მეცნიერი ალექსანდრე ხახანაშვილი წერს, – ერთ-ერთმა ცნობილმა მეცნიერმა ვაგნერმა, დავით სარაჯიშვილს მიუძღვნა თავისი პოლიტიკური ისტორიის ბოლო გამოცემა.

დავით სარაჯიშვილი გერმანიაში, პირველად ლექციებს ისმენდა მიუნხენში. შემდეგ ჰაილდელბერგის უნივერსიტეტში. სწორედ ამ სასწავლებელში მიენიჭა მას ქიმიურ და ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

დავით სარაჯიშვილი მონდომებით ეუფლებოდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებას, ჯერ ქალაქ ჰოფენჰაიმში, შემდეგ ქალაქ ჰალლემში.

* * *

დავით სარაჯიშვილი გარდაიცვალა 1911 წლის 20 ივნისს. დამწუხრებულმა ადოლფ და მარტა ვაგნერებმა ოჯახს ასეთი დეპეშა გაუგზავნეს:

...ჩვენი ძვირფასი მეგობრის გარდაცვალებამ, ყველას მოგვაყენა ტკივილი. გამოვხატავთ დიდ თანაგრძნობას. დავით სარაჯიშვილი, ოცდაათი წლის მანძილზე, იყო ჩვენი ერთგული მეგობარი, მის ხსოვნას არასდროს დავივიწყებთ. ღმერთმა გაგაძლიეროთ, შორი მანძილი დაკრ-



ბარონ დე ბაი

ძალაზე ჩამოსვლას შეუძლებელს ხდის. მაგრამ ფიქრებით სულ თქვენთან ვართ...

ადოლფ და მარტა ვაგნერები შეილებთან ერთად!

ასე გამოეთხოვა ქართველ მეგობარს, დავით სარაჯიშვილს, 76 წლის მასწავლებელი, ადოლფ ვაგნერი.

დავით სარაჯიშვილი და სასულიერო მოღვაწეები

დავით სარაჯიშვილი მატერიალურ დახმარებას უწევდა XIX საუკუნის 90-იან წლებში დაარსებულ მცხეთის სარესტავრაციო კომიტეტს. მისი მესვეურები მუშაობდნენ დიდუბის, მთანმინდის, ლურჯი მონასტრის, ქაშვეთისა და სხვა ისტორიული ძეგლების აღდგენაზე.

როცა გადანყდა, ქაშვეთის ძველი, დაბზარული ეკლესია ახლით შეეცვალათ, დავითის რჩევით, კომისიის წევრებმა – კალისტრატე ცინცაძემ, ნიკო ცხვედაძემ, ექვთიმე თაყაიშვილმა, ახალ პროექტზე უარი განაცხადეს და სამთავისის ეკლესია (1030წ.) ააგეს. მშენებლობა დავით სარაჯიშვილმა დააფინანსა.

დავით სარაჯიშვილმა თავის ანდერძში, რომელიც 1930 წლის 3 ივნისს დაწერა, თბილისის მართლმადიდებელ სასულიერო სემინარიას 5000 მანეთი დაუტოვა.

ანდრე კარბელაშვილი



დავით სარაჯიშვილის მონუმენტი

ანასეული



ანასეულის დიაგნოსტიკური ცენტრი

გურიის მთავარმა, მამია II ქალიშვილი ანა, კახთა მეფე თეიმურაზს მიათხოვა. მამამ სხვა აურაცხელ სიმდიდრესთან ერთად, მზითვად ლამაზი ადგილი უბოძა, – მწვანეში ჩაფლული მამული, რომელიც გურიის მთავრების სატახტო ქალაქს ზემოდან დაჰყურებდა. საუკუნის შემდეგ, ანა ბატონიშვილის მზითვი ტყე-პარკით დაიფარა. მოგვიანებით, ანასეულში დენდროლოგიური პარკი გააშენეს. 1930 წელს დაარსდა ჩაის მეურნეობის ინსტიტუტი, შემდეგ კი, ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

ოზურგეთი, ანასეული, მეცნიერების 9.

ჟურნალი გურიაREGION ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკურ ცენტრ ანასეულს ეწვია. 2015 წელს აღმასრულებელ დირექტორად დაინიშნა იოსებ ბასილია. ცენტრის მთავარი დანიშნულებაა, გლობალური კლიმატური ცვლილებების და ქვეყანაში შექმნილი არაჯანსაღი სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ფონზე, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვა.

XXI საუკუნეში ანასეული ახალი გამოწვევების წინაშეა, წარმატებული მეცნიერები და პროფესიონალი კადრები გამორჩეულ ადგილს უმკვიდრებენ...

– მართალია, იმერელი ვარ, თუმცა 60 წელი აქ ვცხოვრობ, ამ კოლექტივთან ერთად გავიზარდე, – ამბობს ზაურ გაბრიჩიძე. 80 წლის მეცნიერი, ანასეულის ცოცხალი მემკვიდრეა, მის წარსულზე და მომავალზე გვიყვება...

– მკითხველებისთვის საინტერესოა, როგორ დაიწყო ანასეულის ისტორია?

– სამწუხაროდ, ბევრმა ქართველმა არ იცის, რას წარმოადგენდა კოლორიტული ბუნების მქონე ანასეულის ადგილმდებარეობა... ჯერ კიდევ, XVII საუკუნეში, ვახუშტი ბატონიშვილმა გონიოში და ბათუმის საზღვართან, აღმოაჩინა ველურად მზარდი ფორთოხლისა და მანდარინის ხეები. ილია ჭავჭავაძის თქმით, ამ მხარეში კარგად ხარობს ნარინჯი და თურინჯი. ეგნატე ნინოშვილის დროს, გურიის დაჭაობებულ ტერიტორიაზე, ადგილობრივებს მოჰყავდათ ერთნაირი კულტურები. ხალხი შეჭირვებული ცხოვრობდა. გასაბჭოების შემდეგ, დაიწყო რეგიონის

სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია. საბჭოთა კავშირში ჩაის კულტურა შეჰქონდათ ინდოეთიდან და ჩინეთიდან. ჩაატარეს ექსპერიმენტი, შავი ზღვის სანაპიროზე დარგეს ჩაი, სუბტროპიკულმა კულტურამ კარგად გაიხარა.

– რა გზა გაიარა ქართულმა ჩაიმ?

– პირველად, ჩაის ბუჩქი ჩამოიტანეს ჩაქვის საუფლისწულო მამულში, 1900 წელს წაიღეს ოზურგეთის ზვანის სანერგეში, შემდეგ გორაბრეჯოულში მიხეილ ერისთავის მამულში და სოხუმის ბოტანიკურ ბაღში. როდესაც ბუჩქი გაიზარდა, მოიკრიფა ფოთოლი და გადაამუშავეს, რუსმა მემამულეებმა დეფუსტაციაზე წაიღეს პარიზში. ქართულმა პროდუქციამ ოქროს მედალი მოიპოვა. ჩაის მოყვანა და ექსპორტი რუსეთის იმპერიის ინტერესებში იყო. დაიწყო პლანტაციების მოშენება და მძლავრი განვითარება. საჭირო იყო მეცნიერული კვლევა, ნიადაგისა და კლიმატის შესწავლა. ი. სტალინის განკარგულებით, საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, ნიკოლოზ ვავილოვს დაევალა, საქართველოში გაეგზავნა სპეციალისტები, თუ სად აეშენებინათ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. სწორედ მას ეკუთვნის იდეა, საქართველოში ბევრი ახალი მცენარის, კერძოდ ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების შემოტანა და დანერგვა. სპეციალისტების გადამწყვეტილებით, ინსტიტუტი შეიქმნა წარმოების ცენტრში, იქ, სადაც ჩაის პლანტაციებია გაშენებული. 1932 წლის ამიერკავკასიის დადგენილებაში ვკითხულობთ, – ჩაის კულტურის ინდუსტრიული განვითარებისთვის, შეიქმნას საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ოზურგეთიდან ოთხი კილომეტრის დაშორებით, ანასეულში. ტერიტორია გაუვალი ტყით იყო დაფარული. გაასუფთავეს. გამოიყო ბიუჯეტი, დაიწყო პროექტირება. ფოტოებიც გვაქვს შემონახული, ადგილობრივი ენთუზიასტები როგორ ჭრიდნენ ხეებს პრიმიტიული იარაღებით, წერაქვით და ბარით ამუშავებდნენ 45 სანტიმეტრის სიღრმეზე ნიადაგს, ჩაის დასარგავად. დააპროექტეს პლანტაციები, მოეწყო ქარსაფარი ზოლები, ააგეს შენობები, ლაბორატორიები, პირველადი გადამამუშავებელი ჩაის ფაბრიკები. სპეციალისტებს უნდა შეესწავლათ, მცენარეთა განოყიერების, მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიები, საჭირო იყო, კაპიტალური საველე ცდები. საკავშირო ინსტიტუტი სოლიდური თანხით ფინანსდებოდა. შეიქმნა სხვადასხვა განყოფილებები,



ანასეულის დენდროლოგიური პარკი



რუსუდან კაკიძე და ზაურ გაბრიჩიძე

მოიზიდეს კადრები, ანასეულში მუშაობდა აკადემიკოსი ტარასი კვარაცხელია. ჩაის მოყვანის აგროტექნიკას, სწორედ მან დაუდო საფუძველი. საქართველოს მასშტაბით შეიქმნა ცენტრის ფილიალები, – სოხუმში, ჩაქვში, ზუგდიდში, ფოთის კომპლექსური სადგური, წყალტუბოს საყრდენი პუნქტი. საყრდენი პუნქტები გვქონდა უკრაინაში, დაღესტანში და მახაჩკალაში. მოენყო დენდროლოგიური პარკი. სპეციალისტებმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, შემოიტანეს უნიკალური ჯიშის ხე-მცენარეები. 65 სახეობის წიწვოვანი, ასევე კენკროვანი, ფოთლოვანი, ბუჩქის ტიპის, აქ ნახავთ ცნობილ გიგანტურ სექვოიას, შოკოლადის ხეს. დღეს, პარკის განახლებას მეცენატი პეტრე ცანავა უდგას სათავეში...

– შეიქმნა ძლიერი კომპლექსი, სადაც მუშაობდნენ კვალიფიციური კადრები.

– რა თქმა უნდა, ინსტიტუტში და ფილიალებში 700-ზე მეტი მეცნიერ-თანამშრომელი მოღვაწეობდა, მუშაობდა 4000-ზე მეტი ტექნიკური პერსონალი. წარმატებული ახალგაზრდები სწავლობდნენ ჩვენს მიერ შექმნილ ასპირანტურაში. კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ვაგზავნიდით ტიმირიაზოვის აკადემიაში, ლომონოსოვის უნივერსიტეტში, მოსკოვის ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის ინსტიტუტში.

ანასეულის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი იყო მსოფლიო დონის, საერთაშორისო მნიშვნელობის დაწესებულება. ჩამოდიოდნენ უცხოელი პრაქტიკანტები შრილანკიდან, ვიეტნამიდან. ინდოეთიდან. გვქონდა სამეცნიერო მივლინებები, – აფრიკა, ვიეტნამი, შრილანკა, მაროკო, ინდოეთი. არა მარტოს ჩაის, არამედ სხვა სუბტროპიკული კულტურების მიმართულებით, ვიღებდით გამოცდილებას. შემდეგ ვაუმჯობესებდით ტექნოლოგიებს. 70-იან წლებში ჩაის პლანტაციები 67 ათას ჰა-ზე იყო გაშენებული, ყოველ წელს, 125 ათას ტონაზე მეტ მოსავალს ვკრეფდით. მოთხოვნა სულ უფრო იზრდებოდა. ქართული სელექციური ჩაის გამოყვანაში, დიდი წვლილი მიუძღვის აკადემიკოს ქსენია ბახტაძეს. მეცნიერებმა გამოიყვანეს ახალი ჯიში კოლხიდა. ავტორი გახლდათ ტატიანა მუტიოვიკინა და მიხეილ კოლეიშვილი, რომლებიც ჩაქვის ფილიალში მოღვაწეობდნენ, მეც თანაავტორი ვარ, ამ კულტურაზე დავიცავი სადოქტორო დისერტაცია. ჩაი ჰეტეროზიკოტული ბუნებისაა. როდესაც თესლს დათესავ, სხვადასხვა მორფოლოგიური, ფიზიოლოგიური და ბიოლოგიური ნიშნების მქონე მცენარეები იზრდება. მეცნიერები არჩვენ საუკეთესო ბუჩქს, იღებენ ანალიზებს, ამრავლებენ ვეგეტატიურად, კალმებს აფესვიანებენ, გაშენ-

ბული პლანტაციები ინარჩუნებს საუკეთესო თვისებებს. კოლხიდამ დიდი წარმატება მოიპოვა. 70-იან წლებში შეიქმნა სპეციალური ლაბორატორია და ნერგების გამოყვანის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მეურნეობებში 5000 ჰა პლანტაცია გავაშენეთ. ამუშავდა ექსპერიმენტული ჩაის ფაბრიკა, ვანარმობდით ხუთი სახეობის უმაღლესი ხარისხის ჩაის. სამწუხაროდ, საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდი, ანასეულზე რთულად აისახა. ცენტრი ჩამოშორდა მოსკოვს, გადასცეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას. ახალგაზრდები წავიდნენ, პენსიონერები სამუშაოს ჩამოშორდნენ, თანამშრომლების მცირე ნაწილი უხელფასოდ, ენთუზიაზმზე მუშაობდნენ. დაზიანდა პარკი, საცდელი პლანტაციები გვიმრებით დაიფარა. საქართველოში არსებული ჩვიდმეტი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შენობა-ნაგებობები და ნაკვეთები, დაბალ ფასად შეიძინა კახა ბენდუქიძემ. ჩაატარა რეფორმა, ატესტაციის შედეგად, 3000 კადრი 200-მდე შეამცირეს. ჩემი კოლეგები გაათავისუფლეს, მე კონსულტანტად დავრჩი, 80 ლარი დამინიშნეს. ჩაის პლანტაციები გაყიდეს. კ. ბენდუქიძემ ანასეულში მარტო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი დატოვა და აგრარულ უნივერსიტეტს დაუქვემდებარა.

– რთული ვითარების მიუხედავად, ანასეული არ მიატოვეთ...

– დიას. გამოცდილ კადრებს პარტიულ სამუშაოზე ინვესტირებდნენ. მაგალითად, ქალბატონ რუსუდან ტაკიძეს შესთავაზეს რაიკომის მეორე მდივნის თანამდებობა, არ დათანხმდა, 50 წელი სამეცნიერო მოღვაწეობას მიუძღვნა, შენობისა და ლაბორატორიის შენარჩუნება, სწორედ მისი დამსახურებაა.


ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ზაურ გაბრიჩიძეს ანასეულზე სასაუბრო ბევრი აქვს...

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ქალბატონი რუსუდან ტაკიძე ანასეულში არსებულ ლაბორატორიაზე მოგვითხრობს.

– ანასეულის ინსტიტუტთან არსებობდა ჩვენი ლაბორატორია. აქ 1971 წელს მოვედი. ამ დროს, ლაბორატორია გამოეყო და ცალკე სტრუქტურად ჩამოყალიბდა. სოფლის მეურნეობის სამინისტროში შეიქმნა ნიადაგის ხარისხობრივი მაჩვენებლებისა და აგროქიმიური გამოკვლევების განყოფილება, – ექსტენციური სამსახური. მათ დაქვემდებარებაში გადავედით. გვყავდა 160 თანამშრომელი. გვქონდა არა მარტო ნიადაგის, არამედ საკვები ანა-



იოსებ ბასილია



კვლევის შედეგები და რეკომენდაციები

ლიზების, ცხოველთა საკვების, საველე ცდების განყოფილებები. ვსწავლობდით დასავლეთ საქართველოს ნიადაგის ხარისხობრივ მაჩვენებლებს, მცენარეთა დაცვის და რადიოაქტივობის საკითხებს. ჩერნობილის ტრაგედიის დროს, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ზონიდან, ჩამოიტანეს ნიმუშები, შევისწავლეთ რადიაციული ფონი, სხვადასხვა მძიმე ლითონების ოდენობა, გაჩნდა ეჭვი, ხომ არ იყო მეტი რაოდენობით ცეზიუმი და სტრონციუმი. დღეს, საქართველოში, განსაკუთრებით ზღვისპირა რეგიონში, მწვავედ დგას, საკვებში ტყვიის შემცველობის საკითხი. მიმდინარეობდა თუ არა არასასურველი პროცესები, და ბოლო დროს, ხომ არ შეჩერდა ტყვიაზე, რადგან ტყვიის შემცველობა საქართველოში თითქმის არ გვაქვს. ვსწავლობდით არა მარტო ჩაისა და ციტრუსებს, არამედ დასავლეთ საქართველოს ყველა კულტურას. გვქონდა საცდელი ნაკვეთები. დღეს, კვლევის პარალელურად, ყურადღებას ვუთმობთ პრაქტიკულ საქმიანობას.

ფერმერს შეუძლია, მოვიდეს ანასეულში. თქვენი რეკომენდაციის შემდეგ, დაინყოს საქმიანობა...

რა თქმა უნდა, ჩვენ ვურჩევთ, სად გააშენოს, რა კულტურა შეარჩიოს, როგორ შეიტანოს, დაამუშავოს, გავცემთ რეკომენდაციებს.

90-იან წლების რთული პერიოდი ჩვენზეც აისახა. სახელმწიფო აღარ გვაფინანსებდა. მიუხედავად ამისა, ლაბორატორია არ მივატოვეთ, დავრჩით 22 თანამშრომელი. გამოჩნდნენ უცხოელი ინვესტორები, მათ დაკვეთებს ვასრულებდით, მარტო ანასეულის ლაბორატორია ფუქციონირებდა. 2000 წელს მონაწილეობა მივიღეთ მსოფლიო ბანკის პროგრამებში. გავიმარჯვეთ, მოვიპოვეთ დაფინანსება. 2013 წელს გამოცხადდა ტენდერები, გადავინაცვლეთ აღმოსავლეთ საქართველოში. ამ პერიოდში, გურიის გუბერნატორად დაინიშნა გიორგი ჩხაიძე. სამეგრელოდან დაუკავშირდა მეგობარი, უთხრა, – ოზურგეთში არის ნიადაგის კვლევის ლაბორატორია. მსურს, ჩემი დაკვეთა შეასრულოსო. შევხვდით მე და ბატონი გიორგი, ვისაუბრეთ. არა ერთხელ მივმართეთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ჩვენზე აედო მეურვეობა, რადგან სახელმწიფო შპს ვართ, ქონება მათ ეკუთვნით, ყოველთვის უარით გვისტუმრებდნენ. გუბერნატორმა თანადგომა გამოხატა. თხილის კულტურების დაზიანების დროს, გურიაში ჩამოვიდა სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ოთარ

დანელია. ბატონმა გიორგიმ ჩვენთან მოიყვანა, დაათვალიერეს ლაბორატორია. სწორედ მათი ძალისხმევით, 2015 წელს გადაეცა სსიპ სამეცნიერო-კვლევით ცენტრს. ჩატარდა კაპიტალური რემონტი, 3 მილიონი ლარი დაიხარჯა. კონკურსის შედეგად, აღმასრულებელ დირექტორად დაინიშნა ბატონი იოსებ ბასილია. მზრუნველი ადამიანი, ანასეულის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს... ლაბორატორიამ დამატებითი ფუნქცია შეიძინა. სამეცნიერო-კვლევით ცენტრს ჰქონდა ფილიალები მცხეთაში, საგურამოში, წილკანში, ჩამოვიდა ცენტრის დირექტორი ლევან უჯმაჯურიძე, ვისაუბრეთ. გაჩნდა სხვადასხვა სპეციალისტებზე მოთხოვნა, – აგროტექნოლოგი, აგროქიმიკოსი, ბიოქიმიკოსი. ფერმერს დასავლეთ საქართველოს მასშტაბით უნდა მიეღო კონსულტაციები. შვეთავაზე ბატონი ზაურის კანდიდატურა. 2017 წელს შეიქმნა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევის ცენტრი. ბატონი ზაური დაინიშნა უფროს კონსულტანტად.

ბატონო იოსებ, დღეს, რას საქმიანობთ?

ჩვენი ფუნქციაა სუბტროპიკული კულტურების ენდემური ფორმების მოძიება, შენარჩუნება, გამრავლება და სანარმოო გამოცდა. შეიქმნას საკოლექციო ნაკვეთები. ფერმერები უნდა იყვნენ ინფორმირებულნი, გავცემთ რეკომენდაციებს. ანასეულში და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში გვაქვს 3 ჰა მიწის ფართობები. აღმოსავლეთიდან ჩამოვითანეთ და გავაშენეთ ვაშლის, მსხლის, ბლის, თუთის, ატმის სხვადასხვა ჯიშები. ასევე სუბტროპიკული კულტურები – მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი, ახტინი-დია, ფეიჰოა. კენკროვანი კულტურები – მოცვი, მაცყალი ყოლო. თხილის სხვადასხვა ჯიშები, ბამბუკი, მუშმალა, წყავი, ჩაი. შეიქმნა ამ კულტურების გენოფონდი. სათბურებში გამოგვყავს ნერგები. თქვენ ხედავთ, სამსახურის ახალგაზრდა სპეციალისტი ნიკა გუნთაძე, ახლაც იქ საქმიანობს. ასე რომ, წარმოების შუაგულში ვართ...

როგორ დაინყოს ფერმერმა საქმიანობა?

მოვიდეს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევის სამსახურში, მოითხოვოს ნიადაგის ნიმუშების აღება. სპეციალისტები მის ნაკვეთზე აიღებენ ნიადაგის ნიმუშებს, ანალიზის შედეგად, გავცემთ რეკომენდაციებს, რა კულტურა დარგოს, როგორ მოუაროს, რა დაუმატოს ნიადაგს და ა.შ. 2019 წელს ფუნქციონირებას იწყებს ბიოლაბორატორია, სპეციალისტები შეისწავლიან აზიური ფაროსანას და სხვა მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიურ ღონისძიებებს. მიმდინარეობს ბიოლაბორატორიული მონყობილობების დამონტაჟება. ლაბორატორია დასავლეთ საქართველოში მცხოვრებლებს დაეხმარება, მოიყვანონ ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

ბატონო ზაურ, გურიაში ადგილობრივებმა ჩაის პლანტაციები გადანვეს და ამოთხარეს. თხილის კულტურა გაა-



ნიადაგის ნიმუშები



იოსებ ბასილია

შენეს, თუმცა ბოლო სამი წელი აზიურმა ფაროსანამ გაანადგურა და მოსავლის გარეშე დარჩნენ.

– ეკონომიკური კრიზისის დროს, ჩაის კულტურამ დეგრადაცია განიცადა, 67 ათასი ჰა პლანტაციები 4000 ჰა-მდე შემცირდა, 30 ათას ჰა-ზე გააშენეს თხილი. აზიური ფაროსანას და სხვა მავნებელ დაავადებათა გავრცელების შედეგად, თხილმა დაკარგა თავისი ღირსება და ღირებულება. დღეს, ადგილობრივები სინანულით ამბობენ, რატომ არ დაგიჯერეთ!..

– რას ურჩევდით?..

– ჩაი და მოცვის კულტურები მუშავე ნიადაგზე ხარობს. დასავლეთ საქართველოში გვაქვს წითელმიწა და ენერი მიწის მუშავე ნიადაგები. ნიადაგის ქიმიური მელიორაციის შემდეგ, შესაძლებელია, ციტრუსების და სხვა კულტურების წარმოება. დიახ, უნდა ვაღიაროთ, ჩაის პლანტაციების განადგურება არა მარტო საზიანო, არამედ სახელმწიფოებრივი დანაშაული იყო.

– ბატონო ზაურ, რატომ არ დაგიჯერეს?..

– ვერ გეტყვით, მათ უნდა ვკითხოთ, – ჩაი მონური კულტურაა, – აცხადებენ დილეტანტები...

ყურნალ აგრარული საქართველოს ყველა ნომერში ვაქვეყნებდით კრიტიკულ პუბლიკაციებს. ახლა ჩაის ბუჩქებს დაექებენ. ჩვენ მოვამზადეთ ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროექტი, 2016 წელს სახელმწიფომ მიიღო დადგენილება, დაიწყო არსებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება. ბენეფიციარებს, ან მოიჯარეებს თითოეულ ჰექტარს 70%-ით, 2500 ლარით უფინანსებენ. ჩვენს სამსახურს დაევალა, პლანტაციების შემონახვა, ექვემდებარება თუ არა რეაბილიტაციას. შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს ქალბატონი რუსუდანი. პლანტაციებში იღებენ ნიადაგის ნიმუშებს. ანალიზის შემდეგ, გავცემთ რეკომენდაციებს, ვამზადებთ სამწლიან პროგრამას. დოკუმენტაცია მიაქვთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტოში და უფინანსებენ.

– რა ფართობებია დღეს განახლებული?

– რეაბილიტაცია ჩაუტარდა 1000 ჰა ჩაის პლანტაციებს, 700 ჰა პროცესი მიმდინარეობს. ბენეფიციარებს ისევ ჩაის კულტურის გაშენება სურთ, რადგან თხილმა დააზარალა. სამწუხაროდ, არ გვაქვს თესლი. მოვიფიქრეთ

ჩინეთიდან შემოტანა. ჩაერთო საპარტნიორო ფონდი, მაგრამ უარი გვითხრეს. ჩინელებს სურდათ, საქართველოში ჩაის პლანტაციები თვითონ გააშენონ და თავიანთი ხალხი დაასაქმონ. ამიტომ, ჩვენს სანერგე მეურნეობებში ქართული სელექციური ჩაის ჯიშები, თესლით და კალმით უნდა გავამრავლოთ.

– ქართული ჩაი, განსაკუთრებით მწვანე ჩაი, გამოირჩევა საუკეთესო თვისებებით.

– დიახ, ინდური დარჯელინგის ჩაის მსავსად, არის მაღალი ხარისხის, აქვს დაბალი კოფეინი, ეკოლოგიურად სუფთა, პლანტაციებში არ გროვდება დიდი რაოდენობით ნიტრატები. ქალბატონი რუსუდანი მზა პროდუქციაზე გასცემს საერთაშორისო სერტიფიკატს. ბენეფიციარებს ქართული ჩაი მიაქვთ ჩინეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში და სხვა ქვეყნებში.

ანასეული ოროგრაფიულად არის ერთგვარი შემადლებული ტერიტორია. სადაც მთისა და ზღვის ჰაერის ერთობლიობა, ზაფხულში გრილ და სასიამოვნო კლიმატს ქმნის. მიმზიდველია დამსვენებლებისთვის, ტურისტების მატება, ოზურგეთის აგროტურისტულ გეგმებში აისახება. გვსურს, აღდგეს ახალგაზრდა წყვილების, საქორწილო ესკორტით შემოვლის და მონახულების ტრადიცია.

ანასეულში მოღვაწეობდნენ მეცნიერთა კოჰორტა. უმეტესობა გარდაცვლილია. ხოლო ჩვენ, უნდა ვიზრუნოთ, ანასეულის სამეცნიერო ცენტრმა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს, სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

ანასეულის კვლევითი ცენტრი გაეროს შენობას მაგონებს, – სიამაყით და გურული იუმორით ამბობს ბატონი ზაური...


...აქ ხომ 60 წელი მოღვაწეობდენ, რთულ დროს, არ მიატოვეს და სიცოცხლე შეუნარჩუნეს...

ასე გრძელდება დღემდე...

ანასეულზე, ჩაისა და სხვა სუბტროპიკულ კულტურებზე, ყურნალის მკითხველებს ხშირად ვუამბობთ.

ბატონო ზაურ, ბატონო იოსებ, ქალბატონო რუსუდანი, გმადლობთ. მომავალ შეხვედრამდე...

ლელა სურმაჯა
ოზურგეთი, ანასეული
2019ს.



ზაურ გაბრიჩიძე

შადვა ძნელადის ნახატები



სოფლის ერთი კუთხე



გურული კოლმეურნე



საუბარი



თავადი სოფლის ფონზე



კოლმეურნე



გურული კოლმეურნეები



გურული დოქით



ჩანახატი



ჩანახატი



შეხვედრა სატრფოსთან




მგზავრები




დაუსრულებელი ესკიზი



გურული გლეხი ნაჯახით



ურემი



ურემი



პეიზაჟი

ქვევრის ღვინის უძველესი გზადიხვის ალოჩინება



თემურაზ და ზურაბ ღლონტები

XX საუკუნის 90-იან წლების დასასრულს, ქვევრისა და ქვევრში ღვინის დაყენების ტრადიციული წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ, ღია თუ შეფარვითი ბრძოლა, ცუდი შედეგით დასრულდა. ქართველებს ქვევრისა და მასში დაყენებული ღვინის გაგონება არ სურდათ. თუმცა წარმოიშვა უფრო მასშტაბური და სახიფათო მიმართულება, – ევროპაში ქართული ქვევრის შექმნა-გატანის და უცხოეთში, ქვევრში ღვინის დაყენების ინტერესი. გაჩნდა კითხვა, ხომ არ იყო ეს მოვლენა წინასწარ განზრახული?!

როცა შენი განძი, შენს თვალწინ უფასურდება. სხვამ, უფრო გამჭრიახმა, შეიძლება წარმატებით გამოიყენოს. ალბათ, ასე უნდა აღვიქვათ, ევროპელთა ინტერესი ქვევრისა და ქვევრში ღვინის დაყენების მიმართ. ახალი რეალობა, მისი ხელახალი შეცნობის და დაფასების, ამავე პერიოდში ტერმინის **ქვევრი** ინგლისურ ენაში დამკვიდრების საკითხი საკამათო გახდა. **ქვევრის ამფორად** მონათვლას, არა მარტო უცხოელები, ქართველებიც ცდილობდნენ, ბრმა მიბადვის ჩვეულება, ამ საკითხშიც წარმოჩინდა. მიუხედავად იმისა, რომ **ქვევრის ამფორად** მიჩნევის არგუმენტი არ არსებობდა. თანდათან გაიაზრეს, თავისი კონფიგურაციით, შინაარსით და დანიშნულებით, ქვევრი განსხვავებული ჭურჭელია, უცხოელებმა გააცნობიერეს, რომ **ქვევრი** ქართულ წიაღში წარმოიშვა, უცხოურ ენაზე ისე უნდა გამოითქვას, როგორც ქართულში, – **ქვევრის** წარმოთქმას უხერხულობა და ფონეტიკური შეუსაბამობა არ ემუქრება.

პრობლემის დაძლევის შესვდა წინააღმდეგობები. საბედნიეროდ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მფარველობით, განსხვავებული მოსაზრების მქონე ადამიანები, ერთ ჯგუფად ჩამოყალიბდნენ. დიდი წვლილი მიუძღვის ამბა ალავერდელ მიტროპოლიტს დავითს. დიდი შრომა გასწია 2011 წელს შექმნილმა **ქვევრის ფონდმა**, როგორც ქვევრის ღვინის მწარმოებელთა გაერთიანების, ასევე **ქვევრის ღვინის I საერთაშორისო სიმპოზიუმის** მომზადებაში, – ხელი შეუწყო საქართველოს, როგორც ქვევრის ღვინის უძველესი მწარმოებელი ქვეყნის წარმოჩენას. ასევე, **ქვევრის**, როგორც ქართული წარმოშობის ტერმინის დამკვიდრებას ინგლისურ და უცხოურ ენებში.

XXI საუკუნის დასაწყისი ევროპელებისთვის (არა მარტო მათთვის) ქვევრისა და ქვევრის ღვინის აღმოჩენით აღინიშნა. შეიძლება გავავლოთ პარალელი, თუ პირველი

ათასწლეულის დასაწყისი შუა ევროპისთვის ვაზის კულტურის აღიარებით აღინიშნა, მეორე ათასწლეულის დასაწყისი, ქვევრისა და ქვევრის ღვინის აღმოჩენით დაიწყო.

როცა ქვევრში ღვინის დაყენების უძველესი ტრადიციული წესის აღორძინებაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში ვგულისხმობთ იმ სამწუხარო რეალობას, როცა ხალხს თითქმის დავინწყებელი ჰქონდა. ასეთივე ვითარება იყო ღვინის მწარმოებელი სააქციო საზოგადოებების, კორპორაციების, შპს-ების და ფირმების მიმართ. თუ ქვევრში ღვინოს აყენებდნენ, სრულად არ იცავდნენ ქვევრში ღვინის დაყენების უძველეს წესს, მხედველობაში გვაქვს სრულ ჭაჭაზე დადუღება და დავარგება 5-6 თვის მანძილზე, ერთგვარი გადახრა ტრადიციული ტექნოლოგიიდან ღვინის დადუღება-დავარგება ჭაჭაზე კლერტის გარეშე. შემდეგ ღვინის მოთავსება მუხის კასრებში. ან დუღილის დასრულებისთანავე. ჭაჭიდან ღვინის გადაღებას, ან გადაღებას, დუღილის დასრულებიდან 1-2 თვის შემდეგ. ასეთი ქმედებები, უფრო სწორად, ტექნოლოგიური გადახრები განაპირობებდა არატიპიური კახური ღვინის მიღებას.

ქვევრში ღვინის დაყენების წესის მივიწყება, გამოიწვია არამართებულმა სახელმწიფოებრივმა პოლიტიკამ, რაც ათეული წელი იწვევებოდა ქართულ მევენახეობა-მეღვინეობაში.

XXI საუკუნის დასაწყისში დაიწყო ქართული ტრადიციული მევენახეობა-მეღვინეობის აღორძინება. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვან ეტაპად იქცა 2006 წელს ალავერდის მონასტრის XI საუკუნის მარნის აღდგენა. 2007 წელს ამ მარნის ქვევრებში კახური ღვინის დაყენება უძველესი ტრადიციული წესით. თუმცა მონასტერში მარანი ჯერ კიდევ VIII-IX საუკუნეებშიც არსებობდა, რაც დადასტურა ბოლო დროს მონასტრის ეზოში, წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის ჩრდილოეთ კედლის მიმდებარედ ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა. 300 წლის მანძილზე, XI საუკუნის მარანი უმოქმედო იყო. საბჭოთა წყობილების დროს, მარანი მანქანა-ტრაქტორების სადგურის კუთვნილებად იქცა. ძველ ქვევრებში ნავთობპროდუქტები ინახებოდა. შემდეგ ქვევრები მინით დაიფარა.

2005 წელს დაიწყო ალავერდის მონასტრის რესტავრაცია-რეკონსტრუქციის პროექტი. განხორციელდა შპს **ბადაგონის** ფინანსური მხარდაჭერით.

სიმბოლურია, რომ ქვევრში ღვინის დაყენების ტრადიციული წესის აღდგენა, დაიწყო ეკლესიის წიაღში. ქვევრის ღვინის დაყენების წეს-ჩვეულებების ისტორიული მესხიერების გამოღვიძებაში, გადამწყვეტი როლი შეასრულა ალავერდის მონასტერმა, სადაც შესძლეს, ქვევრში ღვინის დაყენების ერთგვარად სახეცვლილი წესი გამოეტანათ წარმოების კერძო, კომერციული ინტერესების სფეროდან და ქვევრში ღვინის დაყენების უძველესი ტრადიციული მეთოდი, ეროვნულ, ფართო საზოგადოებრივი ინტერესებში მოექციათ და მსოფლიო არენაზე გაეტანათ, როგორც ქართული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის საგანძური.

ქვევრში კახური ღვინის ცნობადობის ზრდას ხელი შეუწყო 2010 წლის ივნისში თბილისში გამართულმა ვაზისა და ღვინის 33-ე მსოფლიო კონგრესმა. ნაიკითხეს მოხსენება, – **ქართული ღვინის ისტორია და ტრადიციუ-**

ლი ტექნოლოგიები. კონგრესის მონაწილეები ესტუმრნენ ალავერდის მონასტრის მარანს.

ალავერდის მონასტრის მარნის ქვევრში რქანითელის ვაზის ჯიშისგან დაყენებულმა კახურმა ღვინომ მალე მოიპოვა საერთაშორისო აღიარება. პროცესი ჯერ კიდევ 2009 წელს დაიწყო. იტალიაში **ვინი-იტალიის** საერთაშორისო ფესტივალზე წარდგენილმა ალავერდის მონასტრის მარნის ქვევრის ღვინომ მოწონება დაიმსახურა. 2010 წლის გაზაფხულზე ლონდონში, **დეკანტერის** საერთაშორისო კონკურსზე შპს **ბადაგონის** მიერ წარდგენილმა ალავერდის მონასტრის მარნის ქვევრის ღვინომ **ალავერდის ტრადიციები**, ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. 2011 წელს თბილისში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე, ალავერდის მონასტრის მარნის რქანითელის ქვევრის კახურმა ღვინომ კიდევ ორი ოქროს მედალი მოიპოვა. 2010 წელს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ მონასტრის მარანი სპეციალურ პრიზთან ერთად, დააჯილდოვა პრიზით **მეურნეობის ტრადიციული დარგების აღდგენა და წარმოების მაღალესთეტიკური დონე**.

ალავერდის მონასტრის მარანში შპს ბადაგონის საფერავის ღვინომ, 2011 წელს ლონდონში დეკანტერის საერთაშორისო კონკურსზე უმაღლესი რეგიონული ჯილდო გრან-პრი მოიპოვა. საფერავის ღვინო სხვადასხვა კონკურსებზე დაჯილდოებულია ოქროსა და ვერცხლის მედლებით.

ალავერდის მონასტრის მარნის ღვინო 2011 წელს **ბერების ღვინის** სახელწოდებით ჩამოყალიბდა.

ბერების ღვინო თეთრი და წითელი ღვინო, დიდი რეპუტაციით სარგებლობს უცხოეთში. ალავერდის მონასტრის მარანს არ აქვს წარმოება, მათ ინტერესში არ შედის ბიზნესის მართვა. 2015 წელს დეკანტერის საერთაშორისო კონკურსზე, ალავერდის მონასტრის მარნის 2013 წლის მოსავლის რქანითელის **ბერების ღვინო** დააჯილდოვეს ვერცხლის მედლით. 2017 წელს დეკანტერის საერთაშორისო კონკურსზე ღვინის კომპანია **მარანულის, ოცხანური საფერე** დაჯილდოვდა პლატინის მედლით.

ქვევრისა და ქვევრის ღვინის წარმატებამ, მსოფლიოში შექმნა სასურველი ფონი, იუნესკომ 2013 წლის 4 დეკემბერს ქვევრში ღვინის დაყენების ტრადიციული ქართული მეთოდი, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის საგანძურად აღიარა.

ალავერდის მონასტრის მარანში თანდათან მკვიდრდება ტრადიცია, ვაზის კახური ჯიშებისგან ეგ.წ. ჯიშობრივი ღვინოების დაყენების – რქანითელი, საფერავი, მწვანე კახური, ქისი, ხიხვი, ვარდისფერი რქანითელი, კახური მცვივანი. რაც საშუალებას გვაძლევს, დამოუკიდებლად წარმოვადგინოთ თავისთავადი, ორგანული თვისებების მქონე, ვაზის ჯიშებისგან დაყენებული ღვინოების მდიდარი თაიგული.

ქართული მევენახეობა-მეღვინეობის ათასწლოვანი ტრადიციების აღორძინებაში, მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საქართველოს ეპარქიებს. მათ ტერიტორიებზე არსებულ აღდგენილ მარნებში, წარმატებით მიმდინარეობს ტრადიციული მეღვინეობის განვითარება.

2015 წელს ქ. გორში **ქართული ტრადიციული ღვინის ფონდის** წარდგინებაზე, წმინდა სინოდის წევრებმა, ოცდახუთმა მღვდელმთავარმა, ხელი მოაწერეს შეთანხმებას, სამონასტრო მარნებში აღორძინდეს ტრადიციული მეღვინეობა.

2007 წელს ალავერდის მონასტრის მიერ დაწყებულ

ეროვნულ საქმეს მხარში ამოუდგნენ ჭყონდიდის, გორი-ატენის და კასპი-სამთავისის ეპარქიები, სადაც ოჯალეშის, ჩინურის, გორული მწვანის, ბუდეშურის ვაზის ჯიშების ყურძნისგან ტრადიციულად დაყენებულმა ღვინოებმა, მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

კახური ღვინო მაღალი რეპუტაციით სარგებლობდა არა მარტო რუსეთში, სპარსეთის შაჰის კარზე, საქართველოს მეზობელ ქვეყნებში, არამედ ევროპაშიც უსინჯავდნენ ჭაშნიკს.

1893 წელს გაზეთი **ივერია** იუნყება, – ინგლისის პარლამენტის სამი წევრის შეკვეთით თბილისიდან ინგლისში გააგზავნეს 30 ტიკი კახური ღვინო. პრინც ბონაპარტ მიურატს პარლამენტის წევრებისთვის უთქვამს, კახური ღვინო საფრანგეთისა და რეინის ღვინოებს მირჩევნიაო.

ქვევრის ღვინოები უცხოელი სპეციალისტების აღფრთოვანებას იწვევს. შვედი სომელიე კატარინა ალვინი აღფრთოვანებულია კახური ტრადიციული თეთრი ღვინით.

საქართველოს მეგობარი ჯონათან ვურდემანი, ქართველ მეღვინეებთან ერთად, 2011 წელს ესტუმრა ფრანგ მეღვინეებს – რენე ჟან დარდისა და ფრანსუა რობოს. ისინი საოცარი სიტყვაძუნწობით გამოირჩევიან. სწორედ აქ, ქართულმა ღვინომ აღფრთოვანა რენე ჟან დარდი. მან ღვინის დაგემოვნების შემდეგ, ჯონათანს უთხრა, – მე ყოველდღე ვსვამ ღვინოს, თუმცა ქართულმა ღვინომ გული გამიბოძო, თორმეტი წელი, სწორედ ამ გრძნობას ველოდიო.

ჯონათან ვურდემანი იგონებს: *მარშან ფრანგი მეღვინეს ტიერი პუზელატი ეწვია საქართველოს, ქართული ღვინოების და მარნების გაცნობის შემდეგ, უთქვამს, – საქართველოში ბევრი რამ შევიტყვეთ, მიუხედავად იმისა, რომ ღვინოს მცირე ჩარევით ვაყენებთ, აქ აღმოვაჩინეთ მეღვინეები, რომლებიც უფრო ნაკლები ჩარევით აღწევენ შედეგს.*

2007-2012 წლებში უნდა აღინიშნოს სამი მღვდელმთავრის ამბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითის, გორის და სამთავისის მიტროპოლიტის ანდრიას, ჭყონდიდელი მიტროპოლიტის პეტრეს მიერ დაფუძნებული **ქართული ტრადიციული ღვინის ფონდი**. ფონდის მიზანია, ვაზის ძველი ჯიშების მოვლა, აღორძინება და ტრადიციული ტექნოლოგიებით დაყენებული ღვინოების პოპულარიზაცია. ასევე დააფუძნეს **ქართული ღვინის კულტურის ცენტრი**.

2011 წელს დაფუძნდა **ქვევრის ფონდი**, რომლის თავმჯდომარეა ამბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი. 2011 წლის 15-18 სექტემბერს ალავერდის მონასტერში ჩატარდა სიმპოზიუმი. ლონისძიების მიზანი იყო, ფართო



საზოგადოებისთვის გაცეცნო ქვევრში ღვინის დაყენების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია, ქვევრის, როგორც საღვინე ჭურჭლის უნიკალურობა, ქვევრის ღვინის წარმოქმნა, ქართული მეღვინეობის ისტორია, მრავალფეროვანი ღვინოები და ვაზის ჯიშები. ტურისტული ინფრასტრუქტურა, ქართული სამზარეულო, კულტურა, არქიტექტურა, ფოლკლორი, საქართველოში ტურიზმის ხელშეწყობა.

სიმპოზიუმი გაიმართა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების პროექტის **ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა EPI** დაფინანსებით და მხარდაჭერით. გაიხსნა 2011 წლის 15 სექტემბერს თბილისში, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, მოეწყო ახალი ექსპოზიცია, არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი უძველესი ქვევრები, ყურძნის უძველესი ნიპნები, საღვინე ჭურჭელი, მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული უძველესი სამეურნეო იარაღები და ფოტოგამოფენა.

მონაწილეობდა 60-მდე უცხოელი სტუმარი – აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, უკრაინა, თურქეთი, ჩილე, პოლონეთი, ჩეხეთი. მოხსენებებში წარმოჩნდა უცხოელების ინტერესი ღვინის ჭაჭაზე დაყენების ტრადიციული ქართული წესის და ქვევრის მიმართ.

ქვევრში ღვინის დაყენების ქართულმა ტექნოლოგიამ, როგორც ქართულმა ფენომენმა მნიშვნელოვანი აღიარება მოიპოვა. საერთაშორისო ურთიერთობაში ქართული წარმოშობის ტერმინი **Qvevri** დამკვიდრდა.

2017 წლის 2-3 სექტემბერს იყალთოს ქვევრის აკადემიამ უმასპინძლა ქვევრის ღვინის IV საერთაშორისო სიმპოზიუმს. ორგანიზატორები და მხარდამჭერები იყვნენ **ასოციაცია ქართული ღვინო**, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო და ალავერდის ეპარქია. სიმპოზიუმის ეგიდით ჩატარდა ქვევრის ღვინის I საერთაშორისო კონკურსი, ყიურის თავმჯდომარე გახლდათ, ცნობილი ამერიკელი ღვინის ექსპერტი ლიზა გრანიკი. კონკურსმა წარმოაჩინა ოჯახური მარნებს მესვეურების ახალი სახელები. მათ არაერთი ჯილდო მიიღეს. კახური მცვივანის მშრალმა სუფრის ღვინომ ოქროს, ხოლო კარსელის მარნის კახური მცვივანის ღვინომ ვერცხლის მედლები მოიპოვეს. ბოლო დროს კახური მცვივანის ღვინოს მიმართ ინტერესი სულ უფრო მზარდია.

2017 წელს აღინიშნა ორი მნიშვნელოვანი თარიღი: ათი წელი კახური ღვინის ტრადიციული წესის აღდგენის და ვაზის ქართული გენოფონდის რჩეულის – კახური მცვივანის მოძიებისა და კვლევის დაწყებიდან.

ქართული მევენახეობა-მეღვინეობის ტრადიციულ მხარეებში დაინყო, დაკარგული და დაკარგვის პირას მყოფი ვაზის ადგილობრივი ჯიშების მოძიება, გამრავლება და ღვინის დაყენების ტრადიციული წესის აღდგენა. აქტიურად მონაწილეობენ ახალგაზრდები.

განსაკუთრებული ინტერესი გაჩნდა, ქვევრში ღვინის დაყენების უძველესი ტრადიციული წესის მიმართ. 2017 წლის ბოლოს საქართველოში ქვევრის ღვინის მწარმოებელი 103 მსხვილი თუ საშუალო სანარმო გაერთიანდა. ხოლო ოჯახური ქვევრის ღვინის რიცხვმა 77-ს მიაღწია. ქვევრის ღვინოები საერთაშორისო კონკურსებზე დაჯილდოვდა ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლებით.

2017 წელს დასრულდა მუშაობა საერთაშორისო მულტიდისციპლინარულ პროექტზე **ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა**. ქართველ მეცნიერებთან ერთად, მონაწილეობდნენ პენსილვანიის, მონპელიეს, მილანის,

კოპენჰაგენის, ტორონტოს უნივერსიტეტის, ისრაელის ვაისმანის ინსტიტუტის და მონპელიეს აგრარული კვლევების ეროვნული ინსტიტუტის მეცნიერები და სპეციალისტები.

პენსილვანიის უნივერსიტეტის ბიომოლეკულურმა კვლევამ დაადასტურა, შულავერში აღმოჩენილი თიხის საღვინე ჭურჭლის კედელზე, ღვინისთვის დამახასიათებელი ორგანული მჟავების (ღვინომჟავა, ვაშლმჟავა, ქარვამჟავა, ლიმონმჟავა) არსებობა, რაც Vitis Vinifera-ს ვაზის ჯიშისგან დაყენებული ღვინის მარკერია.

ისრაელის ვაისმანის ინსტიტუტში კვლევის შედეგად დათარიღების მეთოდით ასაკი განისაზღვრა ძვ.წ. 6000-5800 წლებით, რაც 600-1000 წლებით უფრო ადრინდელია, ვიდრე უძველესად მიჩნეული ღვინის კვალი ზაგროსის მთიანეთიდან (ირანი).

მილანის (იტალიის) უნივერსიტეტის მკვლევარებმა აღადგინეს ძვ.წ. VI ათასწლეულის კლიმატი და დაადასტურეს, რომ ქვემო ქართლში 8000 წლის წინ, ვაზის კულტივირების შესაბამისი იყო.

კვლევებით დადასტურდა, რომ ღვინო საქართველოში დაიბადა და აქედან გავრცელდა მთელ მსოფლიოში. დასკვნის საფუძველზე, საფრანგეთში, ქალაქ ბორდოში დაარსებულ ცივილიზაციის მუზეუმში საქართველო წარადგინეს, როგორც ღვინის აკვანი.

ბორდოში საქართველო იყო პირველი მინვეული ქვეყანა, რომელმაც მევენახეობა-მეღვინეობის გამოფენა გახსნა, და იყო ღვინის ცივილიზაციის მუზეუმის საპატიო მასპინძელი.

გამოფენისთვის დამზადდა დიდი ქვევრი, რომელიც **ღვინის ქალაქის** ცენტრალურ შესასვლელში დაიდგა. სულ იქ იქნება, როგორც იუნესკოს მიერ ქვევრში ღვინის დაყენების უძველესი ტრადიციული ქართული მეთოდის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის საგანძური.

2017 წლის 13 ნოემბერს აშშ-ს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბეში გამოქვეყნდა ღვინის ისტორიის შემსწავლელი საერთაშორისო კომპანიის სამეცნიერო სტატია **საქართველოს ადრენეოლითური ღვინო სამხრეთ კავკასიიდან**.

ყურნალმა **National Geographic** და სხვადასხვა ქვეყნის საინფორმაციო სააგენტოებმა, სენსაციური მოვლენა ფართოდ გააშუქეს.

თეიმურაზ ღლონტი, ზურაბ ღლონტი



გრიგოლ გურიელი და ნერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება

1891 წელს ოზურგეთში გარდაიცვალა გენერალი გრიგოლ დავითის ძე გურიელი. გაზეთი **მწყემსი** წერს:

...განსვენებული დიდი მოყვარული იყო ქველი საქმეებისა. ყველა ეს კეთილი თვისებანი, გამსჭვალული იყო ჭეშმარიტი ქრისტიანული სარწმუნოებით. მისი ყოველი საქმე სრულდებოდა სახარების სიტყვისამებრ, ფარულად, მას არ უყვარდა თავის ქება და კეთილი საქმეების გამოქვეყნება...

დაკრძალვის დღეს ასეთი სიტყვებით მიმართეს:

...ბევრი სტუმართმოყვარე ადამიანი ეთხოვება ამ წუთისოფელს, ასეთ კაცებს, მისი ნათესავები დასტირიან. მხოლოდ მისი ხელქვეითები იგლოვებენ. გრიგოლის სატირლად, ვის არ მოგვიყრია თავი. მის სამარეზე ცრემლის დასაფრქვევად, ვინ არ არის მზად. რამდენია კიდევ ისეთი, რომელთაც აქ არ ვხედავთ, მაგრამ ამ საერთო მწუხარებაში სულითა და გულით მოზიარენი არიან ჩვენი. დიახ, გრიგოლის დაკარგვას მთელი საქართველო გლოვობს, აბა, ვის უნდა გაჰყვეს ქვეყნისა და ერის ცრემლი, თუ არა იმ კაცს, რომელიც მუდამ თავისი ქვეყნისა და ერის წარმატებაზე ფიქრობდა. მაშ, ვინ უნდა დაიტვიროს საზოგადოებამ გულწრფელი ტირილით, თუ არა გრიგოლი, რომელმაც ერისა და ქვეყნის ფიქრში, და ამ ფიქრის საქმედ ქცევაში დალია სული! მან არ იცოდა, რა იყო სულისა და გონების უქმობა...

ვინ იყო გრიგოლ გურიელი და რა წვლილი შეიტანა ქვეყნის ცხოვრებაში?..

გრიგოლ გურიელი იყო XIX საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილი ქართველი სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, რომელმაც თავისი მამულიშვილური საქმეებით, ღირსეული ადგილი დაიკავა საქართველოს ისტორიაში. იგი იყო კეთილშობილი, დარბაისელი, რაინდი ქართველი კაცი, ყოველივე კეთილი საქმის გულშემატკივარი, მუდამ საყვედურობდა იმ მდიდარ ქართველებს, რომლებიც დაიხოცნენ და საზოგადო საქმისთვის არაფერი დატოვეს...

გრიგოლ გურიელი იყო ძველი და ახალი მწერლობის, საქართველოს ისტორიის კარგი მცოდნე. აღფრთოვანებით ხვდებოდა, ახალი ქართული წიგნის გამოსვლას, თვალყურს ადევნებდა, თუ რა დაინერა საქართველოს ისტორიაში. უხაროდა ოზურგეთში ქართული სტამბის დაარსება. როცა სტამბა დაათვალიერა და ქართული შრიფტის ნიმუშები ნახა, თქვა, – ღმერთო ჩემო, ამას რას ვხედავ, ოზურგეთში ქართული სტამბაა, თქვენს მარჯვენას ვენაცვალე, მეც მიგულეთ, როგორც ერთი თქვენი გულშემატკივარი, თუ საჭირო ვიქნები, ნუ გამომტოვებთ, ვეცდები, პატივი გცეთ ჩემი შესაძლებლობებით.

გრიგოლ გურიელმა ბევრჯერ შეასრულა თავისი დანაპირები. კარგი ურთიერთობა ჰქონდა სტამბის უფროსთან, კონია თავართქილაძესთან. ყოველთვის ხელს უწყობდა მის საქმიანობას.

გრიგოლ გურიელი იყო პირველი ქართველი, რომელმაც გამოაქვეყნა, 1886 წელს მსოფლიო ლიტერატურაში ცნობილი იგავ-არაკთა კრებული, ვახტანგ VI-ის მიერ

სპარსულიდან თარგმნილი **ქილილა და დამანა**, რაც 1000 ლარი დაუჯდა. ტირაჟიდან შემოსული 3000 მანეთი კი ნერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირა. წიგნის რედაქტორი იყო ილია ჭყონია. წიგნში არ არის მითითებული, ვისი ინიციატივით და სახსრებით განხორციელდა, ეს დიდი ეროვნული საქმე. 1884 წლის 5 მაისს



გრიგოლ გურიელი

გრიგოლ გურიელი წერს დიმიტრი ბაქრაძე – მსურს დავასტამბინო ძველი ქილილა და დამანას წიგნი, თქვენი ხელმძღვანელობით. ფული რამდენიც საჭიროა, ხელაძეს გამოვუგზავნი. იქნებ, სადმე გეგულეობდეს ვახტანგ მეფის და სულხან ორბელიანის სურათები, მისთვის ფულს არ დავზოგავთ. 1884 წლის მაისის ნომერში **დროება** იტყობინება, რომ **ქილილა და დამანას** გამოცემა განიზრახა თავადმა გრიგოლ გურიელმა. ხელნაწერის შესარჩევად დახმარებისთვის მიმართა ცნობილ ისტორიკოსს დიმიტრი ბაქრაძეს.

1886 წლის 4 II ივერია წერს, – არ შეიძლება, მაღლობა არ გადავუხადოთ თავად გრიგოლ გურიელს, ამ წიგნის გამოცემის საგრძნობი ხარჯები რომ არ მოეცა, თვით ი. ჭყონიას, რომ მან ასე ფაქიზად, წიგნის შესაფერად და შეუცდომლად დაბეჭდა იგი.

1885 წლის 30 იანვარს გრიგოლ გურიელი დიმიტრი ბაქრაძეს წერს, – რადგან თქვენ ბრძანდებით მხოლოდ ერთი პირველთაგანი ქართველთა შორის კეთილმშრომელი და მარადის მზრუნველი ჩვენი დედა-ენის წარმატებისთვის, ვებდავ, კვლავ გაგიახლო ჩემი თხოვნა, როგორც **ქილილა და დამანას**, ასევე სხვა წიგნების გამოცემისთვის. მოგართმევთ ჩემს კანონიერ რწმუნებას, რომლის ძალით, მაქვს იმედი, ინებოთ და მიიღოთ ჩემი თხოვნა, რაც შეეხება თქვენი ანგარიშით ხელახალ ხვედრს, ფულს ჩემი ძმა ლევანი მოგართმევთ.

ბევრი პატარა საეკლესიო წიგნი დაიბეჭდა გრიგოლ გურიელის თაოსნობით. ასეთი თანადგომისთვის 1886 წელს გრიგოლ გურიელი აირჩიეს ქართველთა შორის ნერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საპატიო წევრად.

1890 წლის 30 ოქტომბერს ივერია წერს, – თავად გრიგოლ გურიელს მეორე წიგნის დაბეჭდვაც განუზრახავს, **წიგნი ეკლესიასტე, მეფე სოლომონ ბრძენისა**. 3200 მანეთი ისევ საღმრთო წერილის წიგნების წერას უნდა მოხმარდეს. მეორე წიგნის ნახევარიც უკვე დაუბეჭდავს აქაურ მესტამბეებს.

გრიგოლ გურიელის სახლში ოზურგეთში, იმართებოდა ლიტერატურული საღამოები, თეატრალური დადგმები და ევროპული მეჯლისების მსგავსი. გაზეთი **დროება** 1672 წლის 13 მაისს იტყობინება, – გურიელის სახლში, ერთ-ერთ საღამოზე დიდი საზოგადოება იყო შეკრებილი, ჩატარდა რუსული და ქართული წიგნების კითხვა. 8 ივლისს მისი სასახლის დიდ დარბაზში, დაუდგამთ პიესები **უჩინმაჩინის ქუდი და იჭვიანი ქმარი**. საღამოზე შემოსული 79 მანეთი გადაუციათ სკოლების დასახმარებლად. გრიგოლ გურიელს ჰქონდა დიდი ბიბლიოთეკა, ხელნაწერების კოლექცია და არქეოლოგიური ნივთები.

1890 წლის 4 სექტემბერს გაზეთი ივერია გრიგოლ გურიელის ოჯახში დაცულ ხელნაწერებზე წერს, – თავადი გურიელის სახლში, ვნახეთ სამი უძველესი ხელნაწერი ნიგნი, მათ შორის ეთიკა, თეოლოგია, ჩვენი წმინდა მამის ექვთიმეს თარგმანი, ხელნაწერი 15 ფურცელია, დაწერილია ლამაზი ნუსხური ხელით დიაკონი პორფირეს მიერ 1794 წელს, მეორე ნიგნი სიბრძნისა ისო ზირაქისა. ხუცურ-ნუსხურად დაწერილი, მესამეში ნახატებია ჩართული, გადაწერილია 1793 წელს. თავადი გურიელი გულმოდგინედ აგროვებდა გურიაში ხელნაწერებსა და საისტორიო ნივთებს, სურდა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის გადაეცა.

გრიგოლ გურიელი მხარში ედგა ექვთიმე თაყაიშვილს, მრავალი საინტერესო კუთვნილი ძეგლი აღმოჩენაში დაეხმარა.

1890 წელი 4. IX. ქალაქი ოზურგეთი.

პატივცემულო ექვთიმე სვიმონის ძე!

ამასთან გიგზავნი ამ წერილის მომრთმეველის, კვაჭაძის ხელით ოთხ ძველს ხელნაწერს საეკლესიო ნიგნების, სადაც იპოვით შესანიშნავ ხელოვნებას, ძველი დროების ხელნაწერებისა და მხატვრობის.

გთხოვთ, ეს ხელნაწერი ნიგნები გადასცეთ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

ეს ნიგნები დიდი მონდომებით შევიძინე სხვადასხვა კერძო პირებიდან. ვცდილობ, რაც შეიძლება მეტი შევიძინო და გაახლოთ, რათა მომავალ თაობას არ დაეკარგოს ასეთი ძვირფასი ძეგლი, ძველი მწერლობისა და მხატვრობის.

როგორც ახლა შევიტყვე, გურიაში ბევრი ყოფილა შესანიშნავი ხელნაწერი ნიგნები, როგორც საეკლესიო, ისე საერო. მაგრამ ჩვენი ბეჭდვის შემოღების შემდეგ, ხელნაწერ ნიგნებს პატივი სრულად დაჰკარგვიათ და მრავალი მათგანი მოისპო, რადგან სახვევ ქალაქად უხმარიათ.

დავშთები.

თქვენი მუდამ ერთგული გრიგოლ გურიელი.

ექვთიმე თაყაიშვილმა გრიგოლ გურიელის წერილი გამოაქვეყნა 1891 წელს გაზეთ ივერიაში.

ჯერ კიდევ 1889 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის შეუწირავს ხუცური ხელნაწერი ნიგნები, სხვადასხვა დროს საკითხავი ტექსტები, მარხვანი და ტიპიკონი, ჟამნი ყოველთა მეტყველთა, აღდგომის წირვის წესი, მარხვანი და სადღესასწაულო ჟამნი, ლოცვანი, სჯულთ კანონები იოანესი, მარტირიკა ანტონ კათალიკოსისა, კვინტოს კუციოს საქმეთათვის ალექსანდრე მაკედონელისა – გადაწერილი 1811 წელს. კარაბადინი ანუ საექიმო ნიგნი, ვახტანგ მეფის სჯულის კანონი, მეტაფორასი და მამათა ცხოვრება. 1890 წელს თ. ჟორდანიას ხელით შეუწირავს ქართული და უცხოური ძველებური 11 მონეტა.

1891 წლის 23 აპრილს გაზეთი დროება იტყობინება, – ექვთიმე თაყაიშვილმა გრიგოლ გურიელიდან მიიღო ოთხი ხელნაწერი, ასევე ეტრატზე დაწერილი ერთი ნიგნი, მარხვანი კარგი სურათებით გაფორმებული. საუკეთესო ნაწერი 296 ფურცელზე გადაწერილია 1791 წელს გიორგი კობახიძის მიერ. შეუსრულებია ვახტანგ გურიელის მითითებით, სახარება დაწერილი რბილ ეტრატზე, ნუსხა-მხედრული ხელით შესრულებული ხელნაწერი 292 ფურცელზე. ექვთიმე თაყაიშვილი მას მიაკუთვნებს XI-XV

საუკუნეებს. ეთიკა-თეოლოგია, გადაწერილი 1794 წელს იოედიაკონის პორფირის მიერ და გაბრიელის თაოსნობით. მოიცავს 148 ფურცელს. ნიგნი ზირაქისა და ნიგნი ეკლესიასტე. ხუცური ხელნაწერი 176 ფურცელზე შესრულებული. XVII-XVIII საუკუნეების ჟამნი-გულანი, ხუცურად დაწერილი, XVIII საუკუნეში. ეს ნიგნები გადასცა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

ექვთიმე თაყაიშვილი წერს, – არ გაივლის ისე წელიწადი, რომ თავადმა გურიელმა არ შესწიროს ჩვენი საზოგადოების ნიგნთსაცავს რამდენიმე ძველი ნიგნი, ფული, თუ ნივთი. სხვადასხვა დროს მოტანილი ნიგნები, ერთ პატარა ბიბლიოთეკას შეადგენს. გარდა სამეგრელოს თავადის ნიკო დადიანის და ალ. მუსხელიშვილის შემოწირულობისა, მის თანადგომას ვერაფერი შეეძრება. გრიგოლ გურიელი არ ზოგავს არც ხარჯებს და არც შრომას, რომ ხელნაწერები გადმოსცეს ჩვენ საზოგადოებას.

1891 წელს გაზეთ ივერიაში ექვთიმე თაყაიშვილი კვლავ იტყობინება, – გრიგოლ გურიელის ხელნაწერი ნიგნებისა და ნივთების მიღების შემდეგ, ეს იყო მეტაფრაზები, თარგმანი სახარებისა, ნაწყვეტი პარაკლიტონის, კინკლოსი ჟამნიდან ამოღებული, ამბავი როსტომისა და ზურაბისა, ზმნები თქმული გიორგი თავდგირიძის მიერ, 29 სიგელ-გურჯები XVIII-XIX საუკუნეების, კონდაკი, დაბეჭდილი 1783 წელს, ძველი ფულეები სხვ.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება სათანადოდ აფასებს გრიგოლ გურიელის ღვაწლს.

განათლებულ თავადს, გრიგოლ დავითის ძე გურიელს!

...თქვენ თვალსაჩინოდ დაუმტკიცეთ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, უდიდესი თანადგომა და მიეცით საშუალება, რომ ბეჭდვის ძველი ნაშთი მამა-პაპათა გონების ნაწარმოებისა, თანამედროვე ქართველთა საზოგადოების გონების განვითარებისათვის. წერა-კითხვის საზოგადოების სურვილია, რომ ამგვარი თანამგრძობელნი, ყოველთვის დაუვინყარნი ჰყავდეს და სიამოვნებით გაიხსენოს მისი ქველმოქმედება...

ასეთი სამადლობელი წერილით მიმართა გრიგოლ გურიელს 1887 წლის 2 თებერვალს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგებამ, რომლის თავმჯდომარე იყო ილია ჭავჭავაძე. საზოგადოება დაარსდა 1878 წლის 15 მაისს. მისი მედროშენი იყენენ – დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, გრიგოლ ყაზბეგი. საზოგადოებას მხარში ედგა ერთგული თანამდგომნი, სიძველეთა დიდი ქომავები, უხვი ქველმოქმედნი. მათ შორის გამორჩეული იყო გრიგოლ გურიელი.

ექვთიმე თაყაიშვილი წერს, – ახლა, როცა გურიაში ჩავედი, ვნახე გრიგოლ გურიელი, ძლიერ დაბერებულა, შენი ამბავი მკითხა, კარგ საქმეს შემპირდა, უთუოდ ჩუბინოვის ბიბლიოთეკა უნდა ვიყიდო და წერა-კითხვის საზოგადოებას შემოვწირო. ახლა ნავთი აღმოუჩენიათ მამულში, მომავალში ბევრ ფულს ელის, ვალიც რომ ავიღო, მაინც ვიყიდო. შენც გთხოვა, ჩემი პირით, შეადგინე სია, მოკლე კატალოგი ჩუბინოვის ბიბლიოთეკის და გამომიზავნე. წერილში საუბარია, რომ ექვთიმემ და გრიგოლმა ორი კვირა ქობულეთში გაატარეს. რაც მათი სიახლოვის დასტურია.

საინტერესოა გრიგოლ გურიელის წერილი, რომელსაც 1889 წლის 12 მარტს უგზავნის დავით ბაქრაძეს:

...ამასთანავე გაახლებთ თქვენ განსახილველად ნამდვილისგან ქართულ ენაზედ ნათარგმნის, ჩემ მიერ სისწორით გარდამოღებულს პირს იესო მაცხოვარზე პონტოელი პილატეს მიერ გაჩინებისას, რომელიც ვპოვე მე ერთს ძველს ქართულს ხელნაწერს წიგნსა შინა. უკეთუ ამა განჩინებაშით ვპოვეთ რაიმე საინტერესო მასალა, გთხოვთ, მიიღოთ მხედველობაში, აგრეთვე გაახლებთ, ჩემს მიერ გადმოღებულ, იმერეთის მეფის სოლომონის მიერ თ. წულუკიძისადმი მინიჭებული ღრამოტის პირსა, რომელშიც იქნებ, რაიმე საჭირო ჰქოვო. ამასთანავე მოგახსენებთ, ვითარცა მაძიებელი ძველი ხელნაწერი წიგნებისა, დიდი მეცადინეობით შევიძინე სოფლებში გაფანტული რამდენიმე ხელნაწერი ქართული წიგნები, შეძენისთვის არა რას ვზოგავ. უკეთუ ღმერთმა შემადლებინა, აღმოვაჩინე მათში, მე თვით გაახლებთ ამ წიგნებს განსახილველად...

იმავე წლის 28 ოქტომბერს დიმიტრი ბაქრაძეს წერს:

...ამასთანავე გიგზავნი თუფ. ვლადიმერ გრიგორჩის სიმონოვის ხელით დაწერილ შვიდ ძველ საღმრთო წერილს, რომლებიც სამღვდელოებიდან შევიძინე. ისინი არ საჭიროებენ, რადგან ძველი ხელნაწერების ნაკითხვა არ ძალუძთ. უმეცრეების გამო, არა თუ პატივით არ იცავენ ჩვენი ძველი ლიტერატურის ძეგლებს, არამედ აუპატიურებენ და სპობენ ძვირფას საუნჯეს. თქვენ უპოვით შესაფერის ადგილს და დაიცავთ. მე თქვენი წინადადების თანახმად, შევუდექი ძიებას, რაც კი დიდი ეკლესიებია. თუ რაიმე შესამჩნევი ცნობა მივიღე, დაუყოვნებლივ გაახლებთ...

გრიგოლ გურიელის კიდევ ერთი წერილი (ხელნაწერთა ინსტიტუტი, 1889წ. 23. ოქტომბერი).

პატივცემულო დიმიტრი ზაქარიას ძე!

იმ ძველ ხელნაწერთა წიგნებთაგან, რომლებიც თქვენი აქ მყოფობის დროს განიხილეთ, ამ წერილის მომტანს ნიკო თაყაიშვილის ხელით, ოთხ ცალს, კერძოდ – წმინდა მარტირიკა, დიდი ალექსანდრე მაკედონელის ისტორია, წმინდა იოანესი და დ. კარაბადინი.

ამ ოთხი წიგნიდან სამი უკვე შეძენილი მაქვს და თუ საჭიროება მოითხოვს, შემინირავს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის. ხოლო მეოთხე კარაბადინი, სხვისია და საყიდლად ვერ ვიშოვე. მხოლოდ განსახილველად გიგზავნი, თუ სასარგებლოდ მიიჩნევთ, ვეცდები, ვიშოვო, თუ არა, დაუზბრუნებ პატრონს.

მარად თქვენი ერთგული გრიგოლ გურიელი.

1886 წლის 24 აპრილს გრიგოლ გურიელი წერს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, – გამგეობამ მიიღო თქვენგან შემოწირული საუკეთესო ხელნაწერი მეფის ვახტანგ VI სამართლის წიგნის და 45 ნაჭერი ძველი ფულის. სწორედ გრიგოლ გურიელს უნდა ვუმადლოდეთ, ამ ხელნაწერის გამოვლენას და გადარჩენას.

1880 წლის 9 დეკემბერს გაზეთი **დროება** წერს, – ჩვენ მივიღეთ გრიგოლ გურიელისგან შენიშვნა, – მე როგორც მახსოვს, ბიძაჩემს, ქაიხოსრო გურიელს მამიდან მიუღია ერთი კარგი „ვეფხისტყაოსანი“ ხელნაწერი, შიგ გამოხატული მოქმედი პირებით, რომელიც ჩემი აზრით, უნდა იყოს პირველი და სწორად გადმოწერილი.

დღეს, როგორც ვიცი, აქვს ჩემს ბიძაშვილს პელაგიას, ნესტორ წერეთლის მეუღლეს. არ იქნება ურიგო, „ვეფხისტყაოსნის“ რედაქციამ მას მიმართოს, რომ გამოაგზავ-

ნოს. იმედია, უარს არ იტყვის.

საინტერესოა წერეთლისეული ხელნაწერის ისტორია. XVIII საუკუნეში იმერეთის მეფის სოლომონ პირველის (1735-1789) განკარგულებით „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ძველი, დაზიანებული ხელნაწერი, რომელიც საუკეთესო 87 სურათით ყოფილა შემკული, მზითვად მიუცია დარეჯან ბატონიშვილისთვის, რომელიც გაჰყვა ცოლად დიდ ფეოდალს ქაიხოსრო აბაშიძეს. მათი შვილი ივანე, იყო 1819 წლის იმერეთის აჯანყების მოთავე, მან იძულებით თავი შეაფარა ცოლის ბიძას, ქაიხოსრო გურიელის ოჯახს სოფელ შემოქმედში. ივანეს თავის ქონებასთან ერთად, წაუღია სოლომონ მეფის ნაქონი „ვეფხისტყაოსანი“. 1820 წელს ქაიხოსრო გურიელი სათავეში ჩაუდგა აჯანყებას. აჯანყება საბოლოოდ ჩაახშვეს. ქაიხოსრო და ივანე აბაშიძეები ოსმალეთში გადაიხვეწნენ. ხელნაწერი შემოქმედში ქაიხოსრო გურიელის ოჯახში დარჩა. ოცი წლის შემდეგ, ქაიხოსრო გურიელის ქალიშვილი პელაგია გათხოვდა საჩხერელ ნესტორ წერეთელზე, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი მზითვებში წაუღია. შვილებმა ხელნაწერი თბილისში ყდაში ჩასვეს, მაგრამ ეტლში დარჩათ. ბოლოს იგი მოხვდა დავით სარაჯიშვილთან, იქედან ექვთიმე თაყაიშვილთან და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. შემდეგ დავა ჰქონიათ ექვთიმე თაყაიშვილს და ნესტორ წერეთლის შვილებს. საბოლოოდ ხელნაწერი საზოგადოებას დარჩა. ამჟამად, ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდშია დაცული (ზურაბ ჭუმბურიძე 2000).

გრიგოლ გურიელმა დიდი შრომა გასწია, მოეძია, შეეძინა და შთამომავლობისთვის შემოენახა საღვთო სჯულის მრავალი ძველი ხელნაწერი, ინახება კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში.

გრიგოლ გურიელმა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირა სჯულის ისეთი წიგნები, როგორცაა **კონდაკი**, დაბეჭდილი 1790 წელს. ინახება საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ასევე კვინტოს კურცოის საქმეთათვის ალექსანდრე დიდის მეფის მაკედონელის, გადანერილი 1811 წელს. კარაბადინი ანუ საექიმო წიგნი, ხუცური ხელნაწერი. ამბავი როსტომ მეფისა და ზურაბისა, მხედრული ხელნაწერი. ზმნები, თქმული გიორგი თავდგირიძის მიერ გურიელი მამის ყველიერში. XVIII-XIX საუკუნეების სიგელ-გურჯები, – რვა თათრულია, დანარჩენი ქართული.


1891 წლის 4 ივლისს გაზეთ **ივერიაში** ზ. ჭიჭინაძე წერს, – გრიგოლ გურიელის მსგავსი კაცები იშვიათად იბადებიან, ის იყო მამა გურულთა, მზრდელი ობოლთა, პატრონი და მფარველი ქვრივთა, ფარი ჩაგრულთა და დევნილთა, ბევრ გაჭირვებულს დაეხმარა. ქართველ თავადიშვილებს შორის, მას ვერავინ შეედრება, ხალხის სწავლა-განათლების საქმეში. უცოლშვილოდ დარჩენილმა გრიგოლმა გურიელმა სიკვდილამდე, რამდენიმე ხნით ადრე, სხვადასხვა საზოგადოებას უანდერძა თავისი ქონება. სიცოცხლის ბოლო პერიოდი გაატარა დასთან, ირაკლი დუმბაძის ოჯახში. იქ გარდაიცვალა.

გრიგოლ გურიელი დაასვენეს ოზურგეთის წმინდა მარინეს ეკლესიის გალავანში, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა საუკეთესო მაგალითია, თუ როგორ უნდა ემსახურო ქვეყანას და ადამიანებს.

დ ე ვ ნ ი დ ი

დევნილი ჩინელი მწერალი, რომელიც საფრანგეთში ცხოვრობს, 2000 წელს ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა.

სტოკჰოლმში ნობელის პრემიის გადაცემის ცერემონიაზე მეცამეტედ აფრიალდა საფრანგეთის დროშა, – აღფრთოვანებით იუნყებოდნენ ფრანგული გაზეთები, რომლებიც მკთხველებს ჩინელი მწერლის გაოს სინცზიანის ტრიუმფის შესახებ ატყობინებდნენ. უმაღლესი ლიტერატურული პრემია მიენიჭა საკუთარ სამშობლოში უარყოფილ, სამოცი წლის მწერალს, მან ორი წლის წინ საფრანგეთის მოქალაქეობა მიიღო. ცხადია, ლაურეატის სამშობლოში, ჯილდოს შესახებ კრინტიც არ დაძრულა.



ჯურეკ ჰრინიეუსკი

– დღეს, როდესაც გაოს სახელი გაზეთების ფურცლებიდან არ ჩამოდის, მის შემოქმედებაზე უფრო, ავტორის უჩვეულო ბედ-იღბალზე წერენ, რომელიც თავისთავად ლიტერატურული ნაწარმოებია, – წერს გაზეთი **ფიგარო**.

გაოს დედა მსახიობი იყო, მამა – ბანკის თანამშრომელი. გაომ თეატრალური განათლება ამერიკის სკოლაში მიიღო. იგი ყოველთვის გამოირჩეოდა ტოტალიტარული ხელისუფლებისადმი მტკიცე წინააღმდეგობით. ერთხელ, ჩეხოსლოვაკიაში ჩინურ ენაზე გამომავალ ჟურნალში შემთხვევით, ილია ერენბურგის მემუარები წაიკითხა. იგი ავტორია ესეებისა ელჟარზე, ლუი არაგონზე, ბეკეტზე.

მართალია, მისი თხზულებები პოლიტიკიდან შორს იყო, მაგრამ ხელისუფლებამ მასში თავისუფალი მოაზროვნის სული დალანდა. მწერალი პროვინციაში გაამწესეს ხელახლა **აღსაზრდელად**, რომ **ფიზიკურ შრომას ზიარებოდა...**

გაომ ცეცხლს მისცა ყველაფერი, რაც იმ დროისთვის დაწერილი ჰქონდა, – ათი პიესა, რომანი, ლექსები...

ხუთი წლის შემდეგ, გაო პეკინში დააბრუნეს, რადგან მაღალი დონის მთარგმნელი დასჭირდათ.

1982 წელს მისი მეგობრის, ჩინეთის კულტურის მაშინდელი მინისტრის ხელშეწყობით, გაო ევროპაში გაემგზავრა. იგი ერთ-ერთმა გერმანულმა ფონდმა მიიწვია. ევროპიდან მწერალი სამშობლოში აღარ დაბრუნდა. დევნილ მწერალს საფრანგეთმა პოლიტიკური თავშესაფარი მისცა.

ნობელის პრემიის კომიტეტის შემადგენლობაში, საგანგებოდ შეიყვანეს ჩინური ენის სპეციალისტი. ამიტომ, ლაურეატად, ჩინელის არჩევა გასაკვირი არ იყო. თუმცა, არავის ეგონა, პრემიას მიანიჭებდნენ ავტორს, რომელსაც ცოტა ვინმე თუ იცნობდა დასავლეთში და საერთოდ, არავინ იცნობდა საკუთარ სამშობლოში.

თავისი თხზულებების წერა გაომ პეკინში დაიწყო, 1982 წელს და პარიზში დაასრულა, სადაც უკვე თხუთმეტი წელია ცხოვრობს, როგორც ჩინეთიდან პოლიტიკური დევნილი და საფრანგეთის მოქალაქე.

ჩინეთი ავტოკტონური სახელმწიფოა. ჩინელები ერთადერთი ერია, რომელსაც საცხოვრებელი ადგილი არ შეუცვლია. არსად გადასახლებულა.

ექვსი ათასი წლის კულტურული ისტორიის მანძილზე,

იქ ადამიანს მიწასთან განსაკუთრებული მყარი ურთიერთობა ჰქონდა. მთავარია, საცხოვრებლად სწორად მოაწყო შენი მიწა: შენთვის ისეთი ადგილი იპოვო მზისქვეშეთში, სადაც ბუნების ძალებთან იდეალური დამოკიდებულება გექნება...

თუ ამ ტრადიციას გულდასმით ჩავწვდებით, **სულების მთას**, შესაძლოა, **მლოცველთა წიგნი** ეწოდოს. მის ცენტრშია, მოგზაურობის მოტივი ადამიანებისა და ბუნებას შორის ჰარმონიის ძიებაში, ერთის მხრივ, და ადამიანსა და საზოგადოებას შორის – მეორეს მხრივ.

კულტურული რევოლუციის დანაშაულებათა ხსოვნამ, ავტორს ბრბოს მიმართ შიში ჩაუნერგა. ყველა ჩინელი

პოეტის მსგავსად, იგი მთაში განმარტოებას ეძებს. თუმცა, განდევილის ბედ-იღბალი, ჯერ კიდევ როდია ჰარმონია...

ამიტომ, გაო ამ ტრადიციულ გამოსავალს უარყოფს.

მისი მოგზაურობა – საზოგადოებისგან გაქცევა როდია, არამედ შინაგანი სიმშვიდის ძიებაა.

– **შფოთი და არეულობა სახელმწიფოში, ძალადობა საზოგადოებაში, ბუნების კატაკლიზმები, ყველაფერი ეს იმ ქაოსის პროექციაა, რომელმაც ჩვენი სულები მოიცვა,** – ამბობს გაო.

იმ ქაოსის ასახვისას გაომ თავისი ავტორიული პერსონაჟი რამდენიმე იპოსტასად გაჰყო; თითოეული ნაცვალსახელით აღნიშნა, – მე, შენ, ის...

რიგრიგობით მოგვითხრობს რა მათი სახელით, იგი თავს უყრის ყველა ხაზს. ეს თითქოს უსარგებლო მოძრაობა, წიგნის შინაგან დინამიკას ქმნის.

საბოლოოდ, გაოს გმირი ქაოსს თავს ვერ აღწევს. მისი ხანძალიანი მოგზაურობის შემდეგ, იგი ვერაფერს ქმნის. მიზნის და გამართლების სანაცვლოდ, ცხოვრება მას უკანასკნელ ნუგეშს სთავაზობს, – წმინდა ეგზისტენციის, თითოეული იმ მომენტის შეცნობილ განცდას, რომელიც დაბადებიდან გარდაცვალებამდე გვებოძა.

გაომ ვერც სიმშვიდე ჰპოვა, ვერც ბედნიერება, ვერც გამოსავალი; იგი იქვე რჩება, სადაც იწყება ყოველგვარი სიცოცხლე; მუნჯი აბსურდის დამაბრმავებელ სიცარიელეში.

გაო არამარტო მწერალია, არამედ შესანიშნავი მხატვარიც. ნობელის პრემიის მიანიჭებამდე, ცნობილი ტუშით შესრულებული ნახატების წყალობით, მის ნამუშევრებს სამი კონტინენტის, ოცდაათზე მეტმა გალერეამ უმასპინძლა.

ლიტერატურა ავტორისთვის საშუალებაა, ადამიანური შეგნების შესანარჩუნებლად. იგი იწყება იმით, თუ რაზე ვსაუბრობთ საკუთარ თავთან. კომუნიკაციას აქ მეორადი ფუნქცია აკისრია. წიგნები უწინარესად იმაში არწმუნებენ ავტორს, რომ მის სიცოცხლეს რაღაც ღირებულება გააჩნია. ლიტერატურას ჩვენი თვითრეალიზაციის მოთხოვნილება წარმოშობს. ზემოქმედებს თუ არა წიგნი საზოგადოებაზე, – მეორე საკითხია, რომლის პასუხი, არაა დამოკიდებული ავტორზე.

ლიტერატურა ერთი ადამიანის ხმაა, – ამტკიცებს გაო.

იგი თვლის, რომ მწერალს უფლება არ აქვს, ილაპარაკოს ხალხის, პარტიის ან კულტურის სახელით.

იცავს რა მწერალი – დისიდენტისთვის არცთუ ტრივიალურ პოზიციას, გაოწინამორბედებს იხსენებს, – შერისხულ ჩინელ პოეტს ციუი იუანს, რომელიც ჩვენს ერამდე მეოთხე საუკუნეში ცხოვრობდა: ასევე დანტეს, ჯოისს, თომას მანს და სოლჟინიცინს.

– მათი ბედ-იღბალი გარდაუვალი სასჯელია, საკუთარი ხმის შესანარჩუნებლად, – ამბობს იგი.

გთავაზობთ ფრაგმენტს წიგნის წინასიტყვაობიდან **სულის პეიზაჟი**.

ფანჯრის მიღმა, თოვლში, პატარა, მწვანე ბაყაყს ვხედავ. ცალი თვალი მოუწკურავს, მეორე ფართოდ გაუხეულია. გაუნძრევლად მიყურებს. ვიცი, რომ ის ღმერთია.

იგი გამომეცხადა, რომ იხილოს, გავუგებ თუ არა მას. იგი თვალს ხუჭავს და ახელს. ასე საუბრობს ჩემთან. როდესაც ღმერთი ადამიანთან საუბრობს, მას არ სურს, ადამიანმა მისი ხმა გაიგონოს.

ვფიქრობ, ამაში უცნაური არაფერია. ალბათ, ასეც უნდა იყოს. თითქოს ღმერთისთვის ბუნებრივია, ბაყაყად გარდასახოს. გონიერი, მრგვალი თვალი ერთხელ ჩამიკრა. რა კარგია, რომ შემოხედვა მაღირსა საბრალო, ადამიანურ არსებას.

ცალ თვალს რომ ახელს და მეორეს წკურავს, იგი ადამიანისთვის მიუწვდომელ ენაზე მესაუბრება: ღმერთს არ ადარებს, გავუგებ თუ არა მას.

რა თქმა უნდა, შემეძლო მეფიქრა, რომ ამ თვალის ჩაკერებაში არავითარი აზრი არ დევს, მაგრამ კავშირის მნიშვნელობა, სწორედ იმაშია, რომ არაფერს არ ნიშნავს.


საოცრებები არ ხდება, – ამას ღმერთი ამბობს. მე მეუბნება, გაუმადლარ, ადამიანურ ქმნილებას.

– მაშინ, რაღა ვეძებო? – ვეკითხები მას.

ირგვლივ მდუმარებაა. უხმოდ ბარდნის. ამ სიმშვიდით მოჯადოებული ვარ. ალბათ, ასეთი სიმშვიდეა სამოთხეში.

იქ არაა სიხარული – სიხარული ხომ ნუხილის თანაზიარია.

კვლავ ბარდნის.



არ ვიცი, სად ვარ, არ ვიცი, როგორ გაჩნდა ცის თალი. ირგვლივ ვიშხირები.

მე არ ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი: თუმცა, ჯერ კიდევ ვფიქრობ, რომ ყველაფერი ვიცი.

ჩემს ზურგს უკან რაღაც ხდება. ყოველთვის ვგრძნობ, იდუმალ მზერას. ასე რომ, უმჯობესია, უბრალოდ, თავი ისე მოვაჩვენო, თითქოს მესმის, თუმცა არაფერი მესმის.

მაგრამ ფაქტია, არ ძალმიძს, რამე გავიგო, არაფერი მესმის.

ასეა ეს...

ჯუმბერ ჯიშკარიანი
დურამი, ჩრდილო კაროლინა,
აპრ 2002.



სამსონი, დავითის მამა

სერგო კლდიაშვილი იგონებს: ბაბუა – სამსონი, – ბაბუაჩემი, დავითის მამა, არ მიყვარდაო, უფრო იმიტომ, რომ მას არ ვუყვარდიო. საერთოდ კი, სამსონს არავინ უყვარდა, რაც მთავარია, არ უყვარდა თურმე შვილი, ერთადერთი ვაჟი, მემკვიდრე, ვისაც ყველა უყვარდა, მათ შორის, მამაც, რომელიც მწუხარებით დაიტირა, – როცა სული უფალს მიაბარა.

უცნოური კაცი ყოფილა ნამდვილი, ბატონო, ის ჩვენი სამსონი.

სერგის მოვუსმინოთ...

...უცერად, ეზოში ურემი შემოჭრილდა, ურემზე კუბო დევს. ჩვენს სახლში მკვდარი არავინ ყოფილა და გაგვიკვირდა, ჯერ შეცდომით შემოსული გვეგონა. მალე ყველაფერი გამოიკვია: ბაბუას შეუკვეთია კუბო. თავისთვის ამზადებდა, ეს კუბო მთელი ხუთი ნელი იდგა ჩვენი სახლის პალატში... ჯერ გვეშინოდა კუბოსი. როცა დავინახეთ, ქათამს შიგ კვერცხის დება დაეწყო, მივეჩვიეთ.

გადანახული ჩანახეობი...

რეზი ქვიშვილი

არა მარტო კუბო, ალაპისა და სამარის გათხრის ფულიც წინასწარვე ჰქონია გადახდილი, სიკვდილი და საფლავში ჩანოლა აკლდა, როგორც ვხვდებით...

დაკრძალვის შემდეგ, განსვენებულის უჯრის ვადადარიაში, ოჯახის წევრებმა უმაღლესი მთავრობის მისამართით დანერული **დანოსი** აღმოაჩინეს. მამა სახელოვან შვილს, **დავით კლდიაშვილს** უჩიოდა, მთავრობასთან დასმენით.

დანოსი ასე იწყებოდა:

...შვილმან ჩემმან ოტსტავნოი პოლკოვნიკმან, დავით კლდიაშვილმან...

შემდეგ, როგორც **დანოსშია** რ.ჭ.

...მამამ წაიკითხა, ჯერ გაეცინა, მერე ისევ წაიკითხა...

– რა მშვენივრად დაუნერია, საცოდავი მამა, ნიჭიერი კაცი იყო!..

რით იყო ნიჭიერი, **დანოსებით**?..

დავითს ეს არ მოხიბლავდა.

შეფასებაც სხვანაირად, მცირედ განსხვავებულად მახსოვდა, თუ არ მეშლება, თავად ბატონ სერგოსაგან:

...საცოდავი მამა, რა კარგი წერა იცოდა!

ნაკადული

მონანილენი:
მთხრობელი
ნაკადული
კუ
კურდელი
შვლის ნუკრი
ვეფხვი
ყვავილები
ბაყაყი

სცენაზე ჩანს გაზაფხულის ტყე, მთის წვერზე აქა-იქ შემორჩენილი თოვლი. მზე ანათებს. ტყის პირას პატარა ნაკადული მოჩუხჩუხებს. მოშორებით, ბალახში კუ ნევს.

მთხრობელი: მთაში ნაკადული დაიბადა, დაბლა დაეშვა და ტყის პირას შეჩერდა. არ იცოდა, საით წასულიყო. აი, ბალახში მიინარე კუსაც გამოეღვიძა.

გამოღვიძებული კუ ნაკადულთან მივა და შეჩერდება.

ნაკადული: (კუს) დილა მშვიდობისა, ტყეში როგორ ვიარო, ვერ მიმასწავლი?

კუ: სიამოვნებით. წამომყევი.

მთხრობელი: (მათკენ იცქირება) ნაკადული წინ მიდის, კუ კი უკან მიჩანჩალვს.

კუ: დამიცადე, ნაკადულო, რამე საფრთხეს არ გადაეყარო!

ნაკადული: ვერა, მეგობარო. მე ნელა სიარული როდი შემიძლია!

მთხრობელი: კუ აღარ მოჩანს. ნაკადული მარტოა დაბურულ ტყეში. დაიბნა, შეეშინდა, აღარ იცის, საით წავიდეს, რა ქნას...

სცენაზე შემორბის კურდელი და ნაკადულს დაენაფება.

კურდელი: შენ გაიხარე, ნაკადულო, როგორ მწყუროდა!

ნაკადული: კურდელელო, გზას ხომ ვერ მიმასწავლი?..

კურდელი: პირდაპირ, სწორად იარე, მთავარი ეს არის.

ახლა შვლის ნუკრი გამოჩნდება. წყალს სვამს.

მთხრობელი: შვლის ნუკრმა წყურვილი მოიკლა და იგივე ურჩია ნაკადულს, რაც კურდელმა.

შვლის ნუკრი: სწორად იარე, რაც უნდა შეგემთხვეს.

გამოჩნდება ვეფხვი. მიდის ნაკადულთან და ხარბად სვამს წყალს.


მთხრობელი: მერე ვეფხვი შემოხვდა გზაზე, გაოფლილი და დაღლილი. ნაკადულმა მასაც დაუოკა წყურვილი. კმაყოფილი ვეფხვი ნაკადულის გვერდით განვა.

ნაკადული: მირჩიე, მეგობარო, რამე საფრთხეს რომ არ გადავეყარო, საით წავიდე?

ვეფხვი: ტყეში რა საფრთხე უნდა შეგხვდეს, თუ სწორად ივლი – იცინის.

ამასობაში ნაკადული ყვავილებიან ველზე გასულა.

მთხრობელი: ვინ იცის, კიდევ რამდენ ცხოველს მოუკლა წყურვილი პატარა ნაკადულმა. არც ყვავილები დაუ-



ტოვებია გულნატკენი, ისინი კი, მადლიერნი, ასწავლიდნენ – სწორად იარე, ნურაფრის გემინაო.

იმ ადგილს, სადაც ნაკადულს კურდღელი შემოხვდა, კუ გამოჩნდა.

მთხრობელი: კუ ჯერ კიდევ ტყის დასაწყისშია. ნაკადულის კვალს მიუყვება და მასზე დარდობს. ნაკადული კი უდარდელად განაგრძობს გზას და ყვავილებს ესაუბრება ქვეყნის ამბებზე. ამ დროს, წინ წარწერებიანი ქვა შემოხვდება, ქვის წინ ორმო იყო. ნაკადული შეჩერდა და წარწერებს დააკვირდა: მარცხნივ ნახვალ, სრულ უძრაობაში მოხვდები, მარჯვნივ ნახვალ, მუდმივ მოძრაობაში იქნები. ნაკადული ორმოში ჩადგა და დაფიქრდა, საით წასულიყო. სად იყო და სად არა, ბაყაყი გაჩნდა, რომელიც იქვე, ჭაობში ცხოვრობდა.

ბაყაყი: რას ჩაფიქრებულხარ, პატარავ, რა თქმა უნდა, მარცხნივ უნდა ნახვიდე – ჭაობს რა სჯობს – უძრაობას და სიმშვიდე!

მთხრობელი: ამის გამგონე ყვავილები შემოფოთდნენ.

ყვავილები: შენი სილამაზე მოძრაობაშია, ბაყაყს არ დაუჯერო, მარცხნივ არ ნახვიდე!

მთხრობელი: ბაყაყი დროს არ კარგავს, ნაკადულს



მოჩანს ტყის განაპირა მხარე, მდინარისა და წყაროს შესართავი.

მთხრობელი: შეუერთდა წყარო მდინარეს და მას მერე, მუდამ ასე ანკარა დარჩა – სწორედ ამით გადაუხადა მეგობრებს ვალი.

მამუკა სალუქვაძე

სასარბებლო რჩევები სიცოცხლის გასახანგრძლივებლად



გაითვალისწინეთ რამდენიმე მარტივი რჩევა. დიდი ხნით შეინარჩუნებთ მხნეობას, პოზიტიურ განწყობას და გარეგნულ მომხიბვლელობას.

შეამცირეთ კალორიები – თანამედროვე სამყაროში ადამიანი უფრო მეტ კალორიებს იღებს, ვიდრე ორგანიზმს სჭირდება, ჩვეული ნორმის თუნდაც 20%-ით შემცირება კი, მნიშვნელოვნად ამცირებს სიმსივნის (70%) და დიაბეტის (50%) განვითარების რისკს. უარი თქვით საქონლის და ფორის ხორცზე, მიირთვით მხოლოდ ფორინგელის ხორცი და ზღვის თევზი.

შეზღუდეთ მარილი და შაქარი – მედიკოსები დიდი ხანია ირწმუნებიან, რომ ჭარბი მარილის მოხმარება ჰიპერტონიას იწვევს, შაქარი კი – ასუსტებს გულის და გონების მუშაობას, ნეგატიურად მოქმედებს ნივთიერებათა ცვლის პროცესზე, ხელს უწყობს დიაბეტის განვითარებას და ჭარბი კილოგრამების დაგროვებას.

მიირთვით ხილისა და ბოსტნეუ-

ლის ხუთი პორცია – ანტიოქსიდანტები, რომელთაც ხილი და ბოსტნეული შეიცავს, აქტიურად ებრძვიან იმ თავისუფალ რადიკალებს ორგანიზმში, რომლებიც სიმსივნეს და ათეროსკლეროზს, ბრონქიალურ ასთმას და კატარაქტას, პარკინსონის და ალცჰაიმერის დაავადებს იწვევენ. დიდი რაოდენობით ანტიოქსიდანტს შავი ქლიავი და ყურძენი, ბრონეული, კენკრა და თხილი, მწვანე ჩაი, კაკაო და ღვინო, ხილი და ბოსტნეული შეიცავს.



ვისაც ჯანმრთელობის შენარჩუნება და სიცოცხლის გახანგრძლივება სურს, მედიკოსები დღეში სწორედ ამ პროდუქტის მიერთმევას ურჩევენ ხუთ პორციად.

უარი თქვით ლიფტზე – 12-კვირიანი ექსპერიმენტის მსვლელობისას მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ კიბეზე ფეხით სიარული ხელს უწყობს ჭარბი წონის კლებას, რადგან, მათ

ფოთლებს აყრის, რომ ჭაობად აქციოს.

ყვავილები: ნაკადულო, ჩქარა, აქეთ წამოდი!

გამოჩნდება კუ, რომელსაც იმ ადგილამდე მიუღწევია, სადაც ნაკადულს ვეფხვი შეხვდა.

მთხრობელი: კუს თითქოს გულმა უგრძნო, ნაკადული განსაცდელშიაო, ნაბიჯს აუჩქარა, ამასობაში ბაყაყს თითქმის ჭაობად ექცია ნაკადული. აი, გაბრაზებული კუც გამოჩნდა. მის დანახვაზე ბაყაყი მიიმალა. კუმ ნაკადულის წმენდა დაიწყო.

კუ: ნაკადულო, ახლა შეგიძლია, სწორად იარო, ტყე აქ მთავრდება, მერე კი მდინარეა.

კუ ხელს უქნევს ნაკადულს.

ნაკადული: მშვიდობით, მეგობრებო, ვერასოდეს დავივიწყებ თქვენს ამაგს, იქნებ, ოდესმე სიკეთით გადაგიხადოთ.

ვინც, ლიფტით მგზავრობაზე თქვა უარი, 3 თვეში წელის გარშემოწერილობასთან და ცხიმოვან ნაკეცებთან ერთად, ქოლესტერინის მაჩვენებელიც საგრძნობლად შეუმცირდა.

გამოიძინეთ სრულ სიბნელეში – ადამიანის შრომისუნარიანობა მის ძილზე დამოკიდებული, ჯანსაღი ძილისთვის კი, აუცილებელია მელატონინის (ძილის ჰორმონის) სრულფასოვანი გამოშვება, რომელიც ორგანიზმს სხვადასხვა დაავადებებთან, მათ შორის სიმსივნესთან ბრძოლაში ეხმარება. ორგანიზმის სრულფასოვანი გადატვირთვისთვის, საჭიროა სრულ სიბნელეში გამოიძინება, რადგან ანთებული სინათლე ან ჩართული ტელევიზორი მნიშვნელოვნად აფერხებს მელატონინის გამოყოფას.

უარი თქვით თამბაქოზე – თამბაქოთი მიყენებული ზიანის აღდგენაზე ორგანიზმი 15 წელს ხარჯავს და რადგან, აღდგენითი პროცესი მოწვევიდან რამდენიმე საათში იწყება, ამიტომ სასწრაფოდ თქვით უარი თამბაქოზე სიცოცხლეს რამდენიმე წლით გაიხანგრძლივებთ!



ანექდოტები



☺ ☺ ☺

გურული ახალგაზრდა გვიან ღამით მივიდა ექიმთან და ეუბნება: – ბიძია ბოდში, მექავება ერთ უხერხულ ადგილზე და რა ვქნა?

ექიმმა შეხედა და უთხრა:

– მამაშენმა უნივერსიტეტში ხომ მოგანყო?

– კი.

– კაი მანქანა ხომ გიყიდა?

– კი.

– კაი ოთხ ოთახიანი ბინაც ხომ გიყიდა თბილისის ცენტრში?

– კი.

– აბა, ბიძია, დაჯექი და იფხანე რა გაქ საქმე? მაგის გულიზა რას მალვიძებ ამ შუალამეზე.

☺ ☺ ☺

რეიზა გაშორდი ქმარსო, კითხეს გურულს, რომ მეუბნებოდა, ღამე ოთხჯერ შემიძლიაო, ჭამაზე ამბობდა თურმე მაი მოსასპობი.

☺ ☺ ☺

გურულს აყაჩაღებენ.

– დროზე ფული!

გურული მზესუმზირას აძღვეს.

– აი რათ გვინდა. დროზე ფული!

– სანამ ფულიანი გამეივლის, თავი შეიქციეთ.

☺ ☺ ☺

გურულს მოკლავს სოკო. საფლავზე ასეთ წარწერას წაანერენ:

– ნიყვი იყავი თუ ქამა იყავი, მე კი მომკალი, ვინცხა იყავი.

☺ ☺ ☺

გურულ ქალს ეუბნებიან, ნაბელ-ლავი დალიე, არ გინდა?

– არა, მაი გაზიანია, მბერავს და მერე ჩემი ქმარი ეჭვიანობსო.

☺ ☺ ☺

გურულმა თქვა: იმფერი გაჭირვებული ვარ, რომ დავამთქნარებ, ბალანა მეკითხება, – რას ჭამო.

☺ ☺ ☺

პარიკმახერი პარსავს გურულს. უცებ გაუჭრა სახე. მოხია პარიკმახერმა ქალაღდის პატარა ნაჭერი და მიანება გაჭრილ ადგილზე. ასე სამჯერ გამეორდა. კიდევ ქალაღდის მიწეპება რომ დააპირა, გაბრაზებული გურული ეუბნება: რას შობი ძამა, მპარსავ თუ მამშალიერებ.

☺ ☺ ☺

პარასკევი დღე... გურული ცოლ-ქმარის დიალოგი:

– მოი, ბიჯო, ამ შაფათ-კვირას დოუვიწყარი დღეები მოვუნყო ერთმანეთს...

– ოჰ, შენ აგაშენა ღმერთმა, აბა, ნევედი ახლა და ორშაფათს მუალ...

☺ ☺ ☺

დობორჯგინიძე გამეეთრე, მოყვი გაკვეთილი!

– მასწავლებლო, ჯერ სია ამეკითხე, იქნება არ ვარ კლასში!!!

☺ ☺ ☺

მეძავის დატირება გურიამი:

– ნენა, რაფერც იქნა, ძლივს არ მიანყვე ფეხები ერთმანეთზე.

☺ ☺ ☺

გურიიდან მეზობელი მწერს:

– ძილის წამალი იმფერი ძვირია, რომ ვიყიდო, მაგის დარდით არ დამეძინება!..

☺ ☺ ☺

გურულ ქალს ურეკავს დედა. ქმარი ეკითხება:

– ვინ იყო?
– დედაჩემი. მგონი, სანახევროდ გაგიჟდა.

– რას ერჩი, ცა, გამოკეთებულა...

☺ ☺ ☺

გურული ეკითხება ტაქსის მძღოლს:

– რა გვარი ხარ?
– კუტუბიძე.
– მაი, ბაღნობაში, ახლა?..

☺ ☺ ☺

გურული ქალიშვილი მამას ეუბნება:

– ი, ჩემი საქმრო გარეგნულად დიდი არაფერია, მარა შინაგანად მომწონს.

– აფერი ცა, ამოაბრუნე და ისე გაყევი ცოლად...

☺ ☺ ☺

გურული მიდის და მიზდა ლაპარაკობს...

შეხვდა მეორე გურული:
– რაია ბიჯო, გააბლდი, თუ რეიზა ლაპარაკობ მარტუა?

– ჩემზე უკეთესს ვის დეველაპარაკები ძამია!..

☺ ☺ ☺

გურულ ბაბუას უხსნიან, თუ რა არის ატომური ბომბი:

– ბომბი რომ ჩამოვარდება, მერე არც საქმელია, არც სასმელი, თან ხმა აქვს საშინელი...

– მასე თუა, ბაბუ, მაი ჩვენთან დიდი ხნის ჩამოვარნილი ყოფილა, მარა, ხმაი არ ჰქონია...

☺ ☺ ☺

გურული მიდის და მიიმღერის;

– რეიზა გამირბიხარ, რეიზა მემალეები, რეიზა გამითეთრე გოგოვ, ბალანი?!

☺ ☺ ☺

ემმაკმა გურულს შევაშინებო.

გადმოუხტა და დუუდახა:
– უუუუუ, გურულმა შეხედა და უთხრა:

– ე, მაგფერი აბდალი რომ ხარ, იმიზა არ უყვარხარ არავის...

☺ ☺ ☺

გურული დგას სანაპიროზე.

მოარტყამს ტალღა ფეხზე, გურული უჩივა, – გაი ტალღა იქით...
კიდო რომ მოარტყამს ტალღა, გურული ჩივა, – ა, კიდო...

☺ ☺ ☺

ტრანსპორტში ქალი ხმამაღლა საუბრობს ტელეფონზე:

– ნესტანი რაფერაა, ტარიელი, ავთანდილი ხო არ წასულა ინდოეთში, თინათინი ჩამევიდა?..

გვერდზე მყოფმა ენაკვიმატმა გურულმა უთხრა:

– შოთას თუ ელაპარაკები ქალო, მოგვიკითხე.

☺ ☺ ☺

– ექიმო, როგორ ფიქრობთ კიდევ 40 წელი ვიცოცხლებ?

– სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული. მეგობრებთან ერთად თუ ქეიფობთ?

- არა, არასდროს.
- იქნებ მარტო სვამთ?
- არა, რას ამბობთ!
- ენევით?
- ცხოვრებაში არ მომიწევია.
- უპაცრავად, ქალებს თუ ხვდებით?
- არა!
- აბა რა ჩემ ფეხებად გინდა გინდა, კიდევ 40 წელი რომ იცოცხლო?

ადაბ ბუნობის სანჯომბის ნიანჯილსა და სუნსათის დიანბმოსთიჯუნი ზანბილი ანასჯილი





თუზიხვეთი, ანასეული, მეცნიერების 9
მობ: 551 63 33 03 იოსებ ბანძილია
www.anaseuli.com

ასკურავები

The Family Firm Askurava



საქრავას სამკურნალო, სასწრაფო მუშევი მალამო საუკუნეების განმავლობაში ყოველგვარი ქირურგიული ჩარევის გარეშე კურნავს ნებისმიერ მოტეხილობას, ამოვარდნილობას, მენისკს, ოსტეოხონდროზს, პერტესს, პადეგრას და ძვლის სხვა დაავადებებს.

მალამოს დაზღვევის საგვარეულო საიდუმლოება დღემდე საიდუმლოდ რჩება, რომლის ანალოგი მსოფლიოში არ მოიძებნება.

ამჟამად საგვარეულო ფორმას ხელმძღვანელობს საქართველოს ღირსების ორდენის ლაურეატი, საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, რუსეთის საგამოფენო ცენტრის ლაურეატი, ჩრდილის, ისრაელისა და ამერიკის ხალხური აკადემიის წევრი, პროფესორი შოტიკო ასკურავა.

ასკურავების საგვარეულო მეთოდი ბევრ ქვეყანაშია ცნობილი, სადაც ფორმას უკვე გახსნილი აქვს ფილიალები.

Quickly, effective and painless treatment without surgery or casts of all types of fractures, dislocation meniscus, osteochondrosis and other bone disorders with an ointment, the formula for which is a family secret, passed on form generation for two and half centuries.

The treatment is known throughout in Georgia and in other countries the firm has its clinic Mr. Askurava, professor the head of firm, activ member of the Chinese, Israel, American Academy of Sciences.



ISSN 2346-7606



CONSULTATION: every day, except Saturday and Sunday from 12PM till 5PM.

25 Leselidze Str./ 5 Iveria Str. Tbilisi, Georgia

Tel. (+995 32) 999 694, 988 684, 987 995

Mobile: 577 41 19 11

<http://www.geo.net.ge/askurava>